ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ელენე ჩიტიშვილი

გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გავლენა მოქალაქეთა თანამონაწილეობაზე - თბილისისა და ამსტერდამის შედარებითი ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თსუ–ის პოლიტიკის მეცნიერების

ასოცირებული პროფესორი ნანი მაჭარაშვილი

თბილისი 2018

ანოტაცია

გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გავლენა მოქალაქეთა თანამონაწილეობაზე - თბილისისა და ამსტერდამის შედარებითი ანალიზი

წინამდებარე ნაშრომი ეხება გონიერი ქალაქის კონცეფციასა და მოქალაქეთა მონაწილეობას. დღესდღეობით მსოფლიოს პოპულაციის ნახევარზე მეტი ურბანულ გარემოში ცხოვრობს, რაც უწესრიგობისა და დაბინძურების მიზეზი ხდება. ნარჩენების მართვაში სირთულეები, რესურსების სიმწირე, ჰაერის დაბინძურება, ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება, საგზაო პრობლემები, მოძველებული და გაუარესებული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს იმ არასრულ პრობლემათა ჩამონათვალს, რომელსაც აწყდებიან ქალაქები, მათში დიდი რაოდენობით ადამიანების თავმოყრის გამო. პრობლემების მეორე მხარე კი უფრო სოციალური და ორგანიზაციული ხასიათისაა, ვიდრე ფიზიკური, ტექნიკური თუ მატერიალური, ის მდგომარეობს მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეების არსებობაში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვერ რიგდებიან კონკრეტული საკითხის მოგვარების გზებზე. გონიერ ქალაქს როგორც ურბანული განვითარების ერთ-ერთ კონცეფციას კი შეუძლია ამ უზარმაზარი პრობლემების მოგვარება, მოქალაქეების ჩართულობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით.

ნაშრომში განხილულია თბილისსა და ამსტერდამში არსებული გონიერი ქალაქის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებიც მოქალაქეთა ჩართულობის განსხვავებულ შესაძლებლობებს იძლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენს გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გავლენის და მისი მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობებზე ზეგავლენის შესაწავლა თბილისსა და ამსტერდამში და ორივე ქალაქში არსებული გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გაანალიზება შერი არნშტეინის მოქალაქეთა თანამონაწილეობის კიბის საფეხურების შესაბამისად. რისთვისაც კვლევის ფარგლებში ხდება ასმტერდამსა და თბილისში არსებული მდგომარეობის შესწავლა, ერთმანეთთან შედარება და იმ პრობლემების გამოკვეთა, რომლებიც გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გამოყენებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება. დღესდღეობით, ამსტერდამი აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გონიერ

ქალაქად, თბილისი კი გონიერ ქალაქად გარდაქმნის პროცესშია. მეტად საინტერესოა, რა მსგავსებები და განსხვავებები ვლინდება თითოეულ ქვეყანაში, ურბანული განვითარების განსხვავებული დონის არსებობის პირობებში. ჩართულობის ხარისხის დადგენა ხდება შერი არნშტეინის სამოქალაქო მონაწილეობის ტიპოლოგიაზე დაყრდნობით. ტიპოლოგია გვთავაზობს 8 საფხურისგან შემდგარ სამოქალაქო მონაწილეობის კიბეს, რომელშიც მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხარისხი ქვემოდან ზემოთ იზრდება.

კვლევის შედეგებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ კვლევის ჰიპოთეზა დადასტურდა, რადგან ამსტერდამში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები მოქალაქეთა თანამონაწილეობის უფრო მაღალი ხარისხის შესაძლებლობებს იძლევა, ვიდრე თბილისში.

Abstract

The following paper is about the smart city concept and citizen participation. More than half of the World's population now lives in urban areas. Such enormous and complex congregations of people inevitably tend to become messy and disordered places. Cities, megacities, generate new kinds of problems. Difficulty in waste management, scarcity of resources, air pollution, human health concerns, traffic congestions, and inadequate, deteriorating and aging infrastructures are among the more basic technical, physical, and material problems. Another set of problems are more social and organizational in nature rather than technical, physical or material. Problems of these types are associated with multiple and diverse stakeholders, high levels of interdependence, competing objectives and values, and social and political complexity. In this sense, city problems become wicked and tangled. Smart city as concept of urban development can solve these problems by ensuring citizens' involvement.

The following paper serves to show smart city instruments, which offer different opportunities for citizen engagement in Tbilisi and Amsterdam. Research goal is to identify relationship between the smart city instruments and citizen participating in Amsterdam and Tbilisi and to classify smart city instruments with Sherry Arnstein's Ladder of Citizen Participation and identify and explain the difference between Tbilisi and Amsterdam. Nowadays, Amsterdam is recognized as one of the smartest cities in the world and Tbilisi is in the process of transforming. It is interesting to see what king of convergences and divergences could be identified between Tbilisi and Amsterdam and what kind of explanatory factors could have influence on existing situations. The degree of engagement is based on the typology of Sherry Arnstein's civil participation. The research is going to classify smart governance instruments with Sherry R Arnstein's Ladder of Citizen Participation and identify and explain the difference between Tbilisi and Amsterdam.

The research hypothesis was confirmed, in Amsterdam smart city instruments provide higher quality capabilities than in Tbilisi.

The impact of smart city instrument on citizen's participation - Comparative analysis of Tbilisi and Amsterdam.

E. Chitishvili

სარჩევი

შესავალი 7

თავი 1. მოქალაქეთა მონაწილეობისა და გონიერი ქალაქის თეორიული ასპექტები 15

1.1 მოქალაქეთა მონაწილეობის თეორია 15

1.1.1 მოქალაქეთა მონაწილეობის ტიპოლოგიები 18

1.2 გონიერი ქალაქის თეორია 22

1.2.1 გონიერი ქალაქის განზომილებები და მახასიათებლები 25

თავი 2. ევროპული ინოვაციური პარტნიორობა 28

თავი 3. გონიერი ქალაქის იდეა 30

3.1 გონიერი ქალაქის იდეა ამსტერდამში 30

3.2 გონიერი ქალაქის იდეა თბილისში 33

თავი 4. გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები თბილისსა და ამსტერდამში 42

4.1 „შენი იდეა ქალაქის მერს“ და „ამსტერდამი გონიერი ქალაქი“ 42

4.2 პეტიციების პორტალი თბილისსა და ამსტერდამში 48

4.3 ბიუჯეტის მონიტორინგი და დაგეგმვა თბილისსა და ამსტერდამში 52

დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია 62

დანართები: 67

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მოქალაქეები დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობიდან დიდ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკის შემუშავებაზე. ბევრმა ქვეყანამ დააგროვა ერთობლივი მმართველობის, მოქალაქეთა საკონსულტაციო კომიტეტების შექმნისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოცდილება. (Cain, Dalton, Scarrow, 2006) დემოკრატიული თვალსაზრისით მოქალაქეთა თანამონაწილეობა ითვლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების ღირსეულ ელემენტად. მეტიც, დემოკრატიის არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მოქალაქეების ამ უმთავრესი უფლების აღიარება და განვითარება, სწორედ ამიტომ დროის სვლასთან ერთად მოქალაქე სულ უფრო მეტად ხდება გადაწყვეტილების მიღების იმ პროცესის წევრი, რომელშიც ხალხის საჭიროებები და ღირებულებები კომბინირებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებთან.

დღესდღეობით მსოფლიოს პოპულაციის ნახევარზე მეტი ურბანულ გარემოში ცხოვრობს (Alawadhi, Mellouli, Gil-Garcia, Nam, 2012, p. 2289). ხალხის უზარმაზარი რაოდენობის ერთ კონკრეტულ ურბანულ ზონაში თავმოყრა ხშირად ხდება უწესრიგობისა და დაბინძურების მიზეზი. ნარჩენების მართვაში სირთულეები, რესურსების სიმწირე, ჰაერის დაბინძურება, ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება, საგზაო პრობლემები, მოძველებული და გაუარესებული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს იმ არასრულ პრობლემათა ჩამონათვალს, რომელსაც აწყდებიან ქალაქები. პრობლემების მეორე მხარე კი უფრო სოციალური და ორგანიზაციული ხასიათისაა, ვიდრე ფიზიკური, ტექნიკური თუ მატერიალური, ის მდგომარეობს მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეების არსებობაში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვერ რიგდებიან კონკრეტული საკითხის მოგვარების გზებზე. გონიერ ქალაქს როგორც ურბანული განვითარების ერთ-ერთ კონცეფციას კი შეუძლია ამ უზარმაზარი პრობლემების მოგვარება. (Alawadhi, Mellouli, Gil-Garcia, Nam, 2012, p. 2289)

გონიერი ქალაქის კონცეფცია ამჟამად განიხილება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემად ურბანულ განვითარებაში. სხვადასხვა ქალაქები მუდმივად ცდილობენ გონიერ ქალაქად გარდაქმნას, რადგან ის უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის ცხოვრების კარგი ხარისხის შეთავაზებას. დროთა განმავლობაში ნამდვილად ხდება იმის გააზრება, რომ გონიერ ქალაქს ერთდროულად შეუძლია გაზარდოს ქალაქების სიცოცხლისუნარიანობა და ეკონომიკა. მისი არსებობის პირობებში შესაძლებელია ძლიერი ადამიანური და სოციალური კაპიტალისა და ინფრასტრუქტურის შექმნა. თავად გონიერ ქალაქად გარდაქმნის პროცესი კი მოიცავს სხვადასხვა აქტორების ურთიერთქმედებას, ეს აქტორები არიან როგორც საჯარო და კერძო სფეროების წარმომადგენლები, ისე მოქალაქეები. ქალაქის განვითარების პროექტებში მოქალაქეების აქტიური თანამონაწილეობისთვის ცხადია მხოლოდ ადამიანური კაპიტალი და განვითარებული ტექნოლოგიები არ კმარა, გონიერი ქალაქის მართვის მოდელი წარმოადგენს კიდევ ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს პროექტების შედეგებზე. სწორედ ამიტომ, საკვლევი თემას წარმოადგენს გონიერი ქალაქის ის ინსტრუმენტები, რომლებიც მოქალაქეების თანამონაწილეობის შესაძლებლობებს იძლევა.

კვლევისთვის შეირჩა ამსტერდამი და თბილისი, ამსტერდამი ხასიათდება ურბანული განვითარების მაღალი დონით, ის აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გონიერ ქალაქად, რასაც ადასტურებს 2017 წელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული ეკონომიკური ბეჭდვითი გამოცემის, ფორბსის (Forbes) მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი მსოფლიოს ყველაზე გონიერი ქალაქების შესახებ, რომლის მიხედვითაც ამსტერდამი ყველაზე გონიერ ქალაქებს შორის მეათე ადგილს იკავებს (Forbes, 2017). თბილისში კი სულ ახალახანს დაიწყო ურბანული საკითხების წინა პლანზე წამოწევა, შესაბამისად ის გონიერ ქალაქად გარდაქმნის პროცესშია. ამ მოსაზრებას ამყარებს 2016 წელს თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი, რომელიც ქალაქის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების ერთგვარი პასუხი და გონიერი და მოქალაქეების ჩართულობით ფორმირებული ქალაქების ჩამოყალიბების საფუძველია.

ფორუმი, სახელწოდებით „თანამედროვე მიდგომები ქალაქის განვითარებისთვის“, სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და მასში გაერთიანებული იყო 12 თემატური სესია, ესენია: „გონიერი ქალაქები“, ელექტრონული მმართველობა, ენერგოეფექტურობა, „მწვანე ქალაქები“, ინვესტიციები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტურიზმი, აღმოსავლეთის პარტნიორობა და სხვა. ფორუმის მონაწილეები იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები კავკასიის რეგიონიდან, ევროპის, აზიისა და ამერიკის კონტინენტებიდან. გონიერი ქალაქის, როგორც ერთ-ერთი თემატური სესიის ფარგლებში, მერიამ მიიღო რეკომენაციები ქალაქის განვითარებისთვის (გურაბანიძე, 2017). ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2016 წლამდეც არსებობდა გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც თბილისის გონიერ ქალაქად გარდაქმას ემსახურებოდა.

ამსტერდამისა და თბილისის შემთხვევაში სახეზეა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ქალაქი გონიერი ქალაქის კონცეფციის კუთხით, სწორედ ამიტომ მეტად საინტერესოა რამდენად იძლევა მსგავს შედეგს იგივე ინსტრუმენტების არსებობა თითოეულ ქვეყანაში და რამდენად ახდენს მოქალაქეთა ჩართულობის წახალისებას გონიერი ქალაქის ინტრუმენტები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქალაქის შემთხვევაში შესაძლებლობა მქონდა არა მხოლოდ წერილობით გავცნობოდი გონიერი ქალაქის სხვადასხვა პროექტებს, არამედ რეალურად მენახა აღნიშნული პროექტების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობები, ამასთანავე, გავსაუბრებოდი ამ ორი ქვეყნის ურბანისტებს, მერიის წარმომადგენლებსა თუ უბრალოდ მოქალაქეებს, სწორედ ეს იყო ამ ორ ქალაქზე გაკეთებული არჩევნის კიდევ ერთი მიზეზი.

სამეცნიერო საზოგადოებაში ბოლო ხანებში სულ უფრო მეტად იზდება გონიერი ქალაქის შესახებ ინტერესი. თავად იდეა ჩნდება 1997 წლიდან, თუმცა ამ პერიოდიდან 2010 წლამდე ის ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა, 2010 წლიდან კი მკვეთრაც იზრდება გამოქვეყნებული კვლევებისა და ნაშრომების რაოდენობა. 1997 წლიდან 2008 წლამდე გონიერი ქალაქის შესახებ მხოლოდ 1 ნაშრომია გამოქვეყნებული, 2009 წლისთვის - 17, მოგვიანებით უფრო აქტიურად იწყებენ აღიშნული მიმართულებით

კვლევას, შესაბამისად 2011 წელს გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა შეადგენს 119-ს, 2014 წელს კი - 731-ს. საკითხის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ევროპა, კვლევები ძირითადად ქვეყნდება ესპანეთში, გერმანიაში, იტალიასა და საფრანგეთში. მოგვიანებით კი მას მოჰყვება აზია და ამერიკა, კერძოდ, კვლევები წარმოებს ჩინეთსა და აშშ-ში. აქედან გამომდინრე დღესდღეობით გონიერი ქალაქი წარმოადგენს ერთ-ერთ გლობალურ თემას მთელი მსოფლიოს მასშტაბით (Dameri, 2016, p. 25). რაც შეეხება მოქალაქეთა ჩართულობას, ამ მხრივ გამოიყოფა ტრადიციული და არატრადიციული ფორმებით თანამონაწილეობა, ეს უკანასკნელი გულისხმობს მოქალაქეთა თანამონაწილეობას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. კვლევა ეხება არატრადიციული ფორმით თანამონაწილეობას, რადგან გონიერი ქალაქის იდეა სწორედ რომ თანამედროვეობასა და ინოვაციებში მდგომარეობს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ხმის მიცემა არ არის სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთადერთი საშუალება – საჯარო დებატები და შეხვედრები, კამპანიები, გამოკითხვები, მრჩეველთა საბჭოები, პეტიციები, ინიციატივები, ცხელი ხაზები, კომუნიკაციის საშუალებები, ვებ-პლატფორმები მცირე ჩამონათვალია იმ მექანიზმების, რომელსაც მოქალაქეები ან ხელისუფლების ორგანოები მიმართავენ საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. დღევანდელობაში ნელ-ნელა უფრო მეტად მარტივდება და ამასთანავე იხვეწება თანამონაწილეობის შესაძლებლობები. შესაბამისად აღნიშნული მექანიზმების გამოყენება სულ უფრო ხშირად ხდება არა მხოლოდ თბილისსა და ამსტერდამში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩართულობა აღიარებულია დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტურ ელემენტად, სწორედ ამიტომ თანამედროვეობაში სულ უფრო და უდრო იზრდება საკითხის აქტუალობა. გონიერი ქალაქის ინტრუმენტების მეშვეობით თანამონაწილეობის აქტუალობის დასაბუთების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის დანერგვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

მოცემული კვლევის მიზნები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გავლენის და მისი მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობებზე ზეგავლენის შესაწავლა თბილისსა და ამსტერდამში;
2. ორივე ქალაქში არსებული გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გაანალიზება შერი არნშტეინის მოქალაქეთა თანამონაწილეობის კიბის საფეხურების შესაბამისად.

კვლევის ამოცანები:

1. გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების მახასიათებლების დადგენა თბილისსა და ამსტერდამში;
2. მოქალაქეთა ჩართულობის მახასიათებლების დადგენა თბილისსა და ამსტერდამში;
3. მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი/ხასიათის დადგენა თბილისსა და ამსტერდამში;
4. იმ პრობლემების დადგენა, რომელიც ხელს უშლის გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გამოყენებას.

კვლევის კითხვები:

1. გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები რამდენად იძლევა შერი არნშტეინის მოდელის მიხედვით მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობებს თბილისსა და ამსტერდამში?

- რა სახის მსგავსებები და განსხვავებები არსებობს ამ ორ ქალაქს შორის?
- რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას არსებულ სიტუაციაზე?

კვლევის ჰიპოთეზა:

1. ამსტერდამისა და თბილისის განსხვავებული ურბანული განვითარების დონის გამო, ამსტერდამში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები მოქალაქეთა

თანამონაწილეობის უფრო მაღალი ხარისხის შესაძლებლობებს იძლევა ვიდრე თბილისში.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია:

მაღალი თანამონაწილეობა - არნშტეინის მიხედვით გამოიყოფა თანამონაწილეობის 8 დონე. მაღალ თანამონაწილეობაში იგულისხმება რეალური ჩართულობა, კერძოდ, პარტნიორობის, ძალაუფლების დელეგირებისა და მოქალაქეთა კონტროლის საფეხურები.

გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების სიმრავლე - ინსტრუმენტებში მოიაზრება ჩართულობაზე ორიენტირებული სერვისები - პეტიციები, ინიციატივები, კომუნიკაციის საშუალებები, ვებ-პლატფორმები და სხვა.

კვლევის ამხსნელ თეორიას წარმოადგენს ქსელური მმართველობის მოდელი, რომელიც თანამედროვეობაში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს, ის წარმოიქმნა სხვა სახის მმართველობის ტიპების ალტერნატივად, რომელთა არსებობის პირობებში თუკი სახეზეა ვერტიკალური ფორმის მმართველობა, ქსელური მმართველობის მოდელი არსებობს მაშინ, როდესაც მმართველობას გააჩნია ჰორიზონტალური სახე. უფრო კონკრეტულად, იგულისხმება მრავალი აქტორის ჩართვა მმართველობის პროცესებში, ეს აქტორები შეიძლება იყვნენ - მოქალაქეები, საჯარო და კერძო სფეროს წარმომადგენლები. დღესდღეობით ქსელური მმართველობა მიჩნეულია საუკეთესო მმართველობის მაგალითად, რადგან მისი მეშვეობით ხერხდება მრავალი აქტორის ჩართვა და შეუძლებელია გადაწყვეტილებების ინდივიდუალურად მიღება. ქსელური მმართველობის მოდელზე ყურადღებას ამახვილებს მრავალი მკვლევარი, მათგან მეტად საინტერესოა კლინისა და კოპენანის შეხედულებები. ისინი აღნიშნავენ რომ მასზე უკეთესი მმართველობის ალტერნატივა დღესდღეობით არ არსებობს, მის დადებით მხარეებზე საუბრისას კი გამოყოფენ სხვადასხვა აქტორების მიერ განსხვავებული პრიორიტეტების, პრობლემების ხედვისა და მისი გადაჭრის გზების მრავალფეროვანების წინ წამოწევასა და მოქალაქეების რეალურ თანამონაწილეობას

(Kijne, G, 2013). უკვე აღინიშნა, რომ კვლევა მდგომარეობს ამსტერდამისა და თბილისის მოქალაქეების განსხვავებულ თანამონაწილეობის შესაძლებლობებში, რაც გამოწვეულია ურბანული განვითარების განსხვავებული დონით. ამ მხრივ ქსელური მმართველობა ვლინდება გონიერი ქალაქის ერთ-ერთ ისტრუმენტად, თეორიაში კი აღნიშნულია რომ ქსელური მმართველობის დანერგვა უზრუნველყოფს მოქალაქეების თანამონაწილეობის მაღალი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რაც კარგად ხსნის ჩვენს იმ ჰიპოთეზას რომლისთვისაც თანამონაწილეობის ხარისხი დამოკიდებულია ურბანულ განვითარებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ გონიერი მმართველობა არის გონიერი ქალაქის ერთ-ერთი მახასიათებელი, ქსელური მმართველობა კი წარმოადგენს გონიერი მმართველობის საუკეთესო მაგალითს, რადგან ის ყველაზე კარგად ახერხებს სხვა დარჩენილ აქტორებთან ერთად მოქალაქეებისათვის თანამონაწილეობის შესაძლებლობების მიცემას.

კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლების ანალიზს. პირველ ეტაპზე დამუშავდა სხვადასხვა ლიტერატურული, დოკუმენტური და ანალიტიკური ნაშრომები. შემდეგ ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთან ქალაქში არსებული ურბანული გამოწვევების, მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობების, გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების შესახებ. ინტერვიუები ასევე ჩატარდა იმ ურბანისტებთან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაში და კარგად ერკვევიან თბილისში არსებულ გონიერი ქალაქის ინსტრუმენტებში, ამასთანავე, აქვთ ინფორმაცია სხადასხვა პროგრამების რეალობაში განხორციელებისა და მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, რაც მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით რეალურად არსებული სიტუაციის გაანალიზების საშუალებას იძლევა როგორც თბილისში, ისე ამსტერდამში.

სიღმისეული ინტერვიუსთვის რესპონდენტები შეირჩა არაალბათური შერჩევის მეთოდით, უფრო კონკრეტულად გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა, რადგან ის ეფექტურია ისეთ რესპონდენტებთან, რომლებსაც აქვთ უფრო მეტი ცოდნა და

ინფორმაცია საკვლევი საკითხის შესახებ. როგორც აღინიშნა, ისენი არიან ურბანისტები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

რაც შეეხება კვლევის ლიმიტს, კვლევის ფარგლებში არ მომხარა ურბანულ განვითარების იმ მიმართულებების კვლევა, რომელებიც არ შეეხება გონიერი ქალაქის კონცეფციას, რაც შეეხება მოქალაქეთა ჩართულობას, ამ მხრივაც კვლევის სამიზე არ აღმოჩნდა ჩართულობის ტრადიციული ფორმები.

თავი 1. მოქალაქეთა მონაწილეობისა და გონიერი ქალაქის თეორიული ასპექტები

1.1 მოქალაქეთა მონაწილეობის თეორია

მრავალ ქვეყანაში დღეს აღიარებული მართვის მოდელია წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომელიც დამკვიდრებულია პრინციპზე – ხალხის მიერ არჩეული პირები არიან ხალხის ინტერესების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი დემოკრატიის ამომავალი წერტილია, ხმის მიცემა არ არის სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთადერთი საშუალება – საჯარო დებატები, საჯარო შეხვედრები, კამპანიები, გამოკითხვები, მრჩეველთა საბჭოები, პეტიციები, ინიციატივები, ცხელი ხაზები, კომუნიკაციის საშუალებები, ვებ-პლატფორმები მცირე ჩამონათვალია იმ მექანიზმების, რომელსაც მოქალაქეები ან ხელისუფლების ორგანოები მიმართავენ საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ეს მექანიზმები აახლოებს ხელისუფლებას და მოქალაქეებს, ამასთან, საზოგადოებას აძლევს საშუალებას, განსაზღვროს პრიორიტეტები და მიზნები, გადახედოს არჩეული ან დანიშნული პირების გადაწყვეტილებებს, ქმედებებს და მოითხოვოს ანგარიშვალდებულება.

„ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც პოტენციურად შესაძლოა აისახოს იმ მოქალაქეებზე, რომლებიც კონკრეტულ ტერიტორიებზე თუ ადმინისტრაციულ ერთეულებში ცხოვრობენ, მნიშვნელოვანია მოქალაქეების თანამონწილეობა. ეს არა მხოლოდ მნიშვნელოვანია, არამედ ჩვენს ვალდებულებასაც წარმოადგენს. ადმინისტრაციული ორგანო კი უნდა ცდილობდეს, შექმნას ისეთი პირობები, რომ მოქალაქეებს ეძლეოდეს საშუალებები, რაც შეიძლება აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (გიგაშვილი, 2018).

მოქალაქეთა თანამონაწილეობის არაერთი ინტერპრეტაცია არსებობს. შერი არნშტეინის მიხედვით სამოქალაქო მონაწილეობა – სამოქალაქო ძალაუფლების სინონიმია. ესაა ძალაუფლების იმგვარი გადანაწილება, რომელიც საშუალებას აძლევს

პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან გამორიცხულ მოქალაქეებს, მომავალში შეგნებულად ჩაერთონ მათში. ესაა სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ინფორმაციის გაცვლის გზათა განსაზღვრაში, მიზნებისა და პოლიტიკური კურსის ფორმირებაში, საგადასახადო რესურსების განაწილებაში, პროგრამათა მუშაობასა და ფინანსური დახმარების განაწილებაში მონაწილეობენ. არნშტეინის მიხედვით მოქალაქეთა თანამონაწილეობა წარმოადგენს საშუალებას, რომლის დახმარებითაც მოქალაქეები სტიმულს აძლევენ იმ მნიშვნელოვან სოციალურ რეფორმას, რომელიც საზოგადოებრივ სიკეთეთა საკუთარი წილით სარგებლობის საშუალებას მისცემს მათ (არნშტეინი, 2015).

ამანდა შიდი მოქალაქეთა თანამონაწილეობას განმარტავს როგორც ინფორმაციის, ძალაუფლებისა და ურთიერთპატივისცემის განაწილების აქტს მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის (Sheedy, 2008, p. 4). შიდის განმარტების მიხედვით მოქალაქეთა ჩართულობა მოქალაქეს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ინფორმირებული იყოს ისეთი გადაწყვეტილებებების შესახებ, რომლებიც გავლენას იქონიებს მათ ცხოვრებაზე და ამასთანავე გავლენა იქონიოს ამავე გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ლუკენსმეიერი და ჰასელბლადი აღნიშნავენ, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობის მეშვებით ხელისუფლებას შეუძლია სარგებელი მიიღოს, ის მოქალაქეებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფით იყენებს მათ ცოდნას, რაც ეხმარება პოლიტიკისა და გეგმების ფორმირებაში. გამოყოფენ მოქალაქეთა თანამონაწილეობის აქტივობების 6 მიზანს:

- საზოგადოების ინფორმირება და განათლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების შესახებ;
- მთავრობის გადაწყვეტილებების გაუმჯობესება მოქალაქეების მხრიდან გადაწყვეტილებების მიმღები ადამიანებისთვის უკეთესი ინფორმაციის მიწოდების საშუალებით;
- მოქალაქეებისთვის შესაძლებლობების შექმნა საჯარო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად;

- ხელისუფლების გადაწყვეტილებებისათვის უფრო მეტი ლეგიტიმურობის მინიჭება;
- მოქალაქეთა ჩართვა შედეგების მონიტორინგში;
- საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება მოქალაქეთა ჩართულობისა და ნდობის უზრუნველყოფით (Carolyn J. Lukensmeyer, Lars Hasselblad Torres, 2006, p. 9).

ჩვენს თანამედროვეობაში არავინ დაობს მოქალაქეთა ჩართულობის არსებობის აუცილებლობის შესახებ. ნაბაჩი მოქალაქეთა ჩართულობის დიდ მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს არის ერთ-ერთი გზა დემოკრატიის დეფიციტის შესამცირებლად. ძლიერი ჩართულობა ეხმარება ხელისუფლებას მოქალაქეების რესურსების მობილიზებაში, პოლიტიკის შემუშავებასა და დემოკრატიულ პროცესში ჩართულობის გზით კი შესაძლებელია ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის ზრდა (Nabatchi, 2010).

მოქალაქეთა თანამონაწილეობა უდიდეს როლს თამაშობს გონიერი ქალაქის შექმნის პროცესში, მის გარეშე შეუძლებელია ურბანული მენეჯმენტის ამ კონცეფციის არსებობა. რობერტ ჰოლანდსი გონიერი ქალაქის ორიენტაციაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ გონიერი ქალაქი დაფუძნებული უნდა იყოს იმაზე მეტად მნიშვნელოვანზე, ვიდრე უბრალოდ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებია, რადგან სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი გარემოს დაცვასთან დაკავშირებული, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების მიღწევა. ჰოლანდსის მიხედვით ნამდვილი გონიერი ქალაქი იწყება ხალხისა და ადამიანური კაპიტალისგან, რომლებიც ტექნოლოგიების გამოყენებით ერთვებიან დემოკრატიულ დებატებში იმის შესახებ თუ როგორ ქალაქში სურთ ცხოვრება (Hollands, 2008).

სამეცნიერო ლიტერატურა აღიარებს მოქალაქეთა მნიშვნელოვან როლს გონიერ ქალაქებში და ამტკიცებს, რომ მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი პრიორიტეტებისა და მიზნების იდენტიფიცირება გონიერი ქალაქის სტრატეგიის შემუშავების პროცესში, რადგან თავად მოქალაქეები უნდა ღებულობდნენ უდიდეს

სარგებელს გონიერი ქალაქის პროექტების იმპლიმენტაციით გზით (Nam, Pardo, 2011, p. 283).

„თბილისში, მოქალაქეებს, რომლის სახლის წინაც გეგმავენ მშენებლობას, არ აქვთ ინფორმაცია და არ რთავენ ამ პროცესში. ამის შემდეგ ბუნებრივია მათი გულისწყრომა, რადგან ხედავენ, რომ მათი საცხოვრებლის ფასი უფასურდება, ბინები კაპიტალის სახით კარგავს ფასს. ცხადია მოუღებელია მოქალაქეების თანამონაწილეობის უგულვებელყოფა, ამ დროს მათი ბინის ფასი ეცემა, რადგან ახალი მშენებლობის შედეგად აღარც გამწვანებულ ტერიტორიაზე აქვთ წვდომა და აღარც სინათლეზე. ესაა ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ადასტურებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობა და ასეთი მაგალითები ქალაქის ცხოვრებაში უამრავია“ (სალუქვაძე, 2018)

1.1.1 მოქალაქეთა მონაწილეობის ტიპოლოგიები

შერი არნშტეინის მიხედვით სამოქალაქო მონაწილეობა – სამოქალაქო ძალაუფლების სინონიმია. ესაა ძალაუფლების იმგვარი გადანაწილება, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან დღეს გამორიცხულ მოქალაქეებს, მომავალში შეგნებულად ჩაერთონ მათში. ესაა სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ინფორმაციის გაცვლის გზათა განსაზღვრაში, მიზნებისა და პოლიტიკური კურსის ფორმირებაში, საგადასახადო რესურსების განაწილებაში, პროგრამათა მუშაობასა და ფინანსური დახმარების განაწილებაში მონაწილეობენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა საშუალება, რომლის დახმარებითაც მოქალაქეებმა სტიმული უნდა მისცენ მნიშვნელოვან სოციალურ რეფორმას, რომელიც საზოგადოებრივი სიკეთის საკუთარი წილით სარგებლობის საშუალებას მისცემს მათ.

არნშტეინი გვთავაზობს მოქალაქეთა თანამონაწილეობის 8 საფეხურისგან შემდგარ კიბეს. თითოეული საფეხური საბოლოო შედეგის განსაზღვრაში მოქალაქეთა

უფლებამოსილების დონეს შეესაბამება და რაც უმთავრესია უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი კიბის ქვემოდან ზემოთ ნელ-ნელა იზრდება.

ყველაზე ქვედა საფეხურები – ესაა (1) მანიპულირება და (2) თერაპია. ეს ორი საფეხური არამონაწილეობის დონეებს ასახავს, რომლებიც ნამდვილი მონაწილეობის შესაცვლელადაა გამოგონებული. მათი რეალური მიზანია – არ დაუშვან ადამიანები პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მესამე და მეოთხე საფეხურები – ეს უკვე სიმბოლურ ღონისძიებათა დონეებია, რომლებიც უპოვარ მონაწილეებს მოსმენისა და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევს. არნშტეინი მათ (3) ინფორმირებასა და (4) კონსულტირებას არქმევს. როდესაც ძალაუფლების მქონე ადამიანები უზრუნველყოფენ საერთო მონაწილეობის ამ დონეებს, მოქალაქეებს მართლაც აქვთ შანსი მოისმინონ და ასევე მოსმენილ იყვნენ. მაგრამ ამ პირობებში მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება, რომელიც ძალაუფლების მქონეთაგან მათი აზრის გათვალისწინების გარანტიას ქმნის. როდესაც მონაწილეობა ამ დონეებზე დაიყვანება, ვერანაირი საშუალებით ვერ შევამოწმებთ, თუ როგორ სრულდება დაპირებები, არ არსებობს მექანიზმი, ხოლო ეს ნიშნავს, რომ ვერც არსებული მდგომარეობის შეცვლაში ვიქნებით დარწმუნებულები. მეხუთე საფეხური – (5) დამშვიდება (დაშოშმინება) – უბრალოდ სიმბოლურ ღონისძიებათა უფრო მაღალი დონეა, რამდენადაც თამაშის წესებით აქ უპოვართა სათათბირო ხმის უფლება გათვალისწინებულია, თუმცა გადაწყვეტილების მიღება კვლავ მხოლოდ ძალაუფლების მპყრობელთა პრეროგატივაა. ზედა საფეხურებზე განთავსებულია სამოქალაქო მონაწილეობის დონეები გადაწყვეტილების მიღების სულ უფრო მზარდი პრივილეგიით. მოქალაქეებს შეუძლიათ დაამყარონ (6) პარტნიორული ურთიერთობები, რაც ძალაუფლების ტრადიციულ მფლობელებთან მოლაპარაკებათა წარმოებისა და კომპრომისების მიღწევის საშუალებას იძლევა. ყველაზე ზედა საფეხურებია – (7) უფლებამოსილებათა დელეგირება და (8) სამოქალაქო კონტროლი – უპოვართა მიერ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების, ან მმართველობითი ძალაუფლების სრული კონტროლი (არნშტეინი, 2015) (იხ. დანართი N1).

ინფორმირებულობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაბალ საფეხურს, თუმცა ხშირად მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხს სწორედ ინფორმირებულობის დონეს უკავშირებენ, რადგან ის გვევლინება რეალური თანამონაწილეობის საფუძვლად და მის გარეშე შეუძლებელი ხდება გადაწყეტილების მიღების პროცესში ჩართვა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის გაკონტროლება იმგვარად, რომ საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებმა გამოიყენონ კანონით მინიჭებული დამატებითი ბერკეტები აღსრულების პროცესზე ზემოქმედების მოსახდენად. ინფორმირებულობის დონის მიხედვით მოქალაქეს უნდა გააჩნდეს სრული ინფორმაცია პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ, ასევე, მისი უფლებების შესახებ მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოქალაქე ინფორმაციას უნდა ღებულობდეს დროულად და ამ ინფორმაციის მიღება არ უნდა იყოს დაკავშირებული დამატებით ხარჯების გაწევასთან ან დამატებით ძალისხმევასთან.

შერი არნშტეინი ყურადღებას ამახვილებს ინფორმაციის მიწოდების დიდ მნიშვნელობაზე. არნშტეინის მიხედვით ინფორმირება რეალური სამოქალაქო მონაწილეობის პირველ ნაბიჯებად მიიჩნევა, თუმცა მოქალაქეთა თანამონაწილეობაში ინფორმირებულობის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად მხოლოდ ამ დონეზე გაჩერებით ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარება ვერ მოხდება.

ევროკავშირის წევრი და წევრობის მსურველი ქვეყნებისათვის მოქალაქეთა ჩართულობა განიხილება დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტად. დემოკრატია მოქალაქეებს საშუალებას უნდა აძლევდეს: ეფექტიანად ჩაერთოს მართვაში და დასვას მისთვის მნიშვნელოვანი საკითხი დღის წესრიგში, გამოხატოს საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე და მიიღოს სრული ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებისაგან, ჰქონდეს გავლენა ხელისუფლებაზე (კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის – არჩევნები). ეს უფლებები და შესაძლებლობები უნდა იყოს არა ნომინალური, არამედ ძლიერი და ეფექტიანი.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და დემოკრატიის ორგანიზაცია (OECD) მიიჩნევს, რომ ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობას სხვადასხვა გამოვლინება გააჩნია და მოიცავს რამდენიმე ელემენტს:

ინფორმირება – ცალმხრივი ურთიერთობა, როდესაც ხელისუფლება წარმოადგენს და აცნობს საზოგადოებას ინფორმაციას. ეს შეიძლება იყოს პასიური გზით, როდესაც მოქალაქე იღებს ინფორმაციას მოთხოვნის შემდეგ; ან აქტიური, როდესაც ხელისუფლების ორგანოები თავად ავრცელებენ ინფორმაციას (მაგ. პროაქტიული გამოქვეყნება);

კონსულტაციები - ორმხრივი ურთიერთობა, როდესაც მოქალაქეები ხელისუფლების საქმიანობას წინასწარ ან შემდგომ აფასებენ;

აქტიური მონაწილეობა - ურთიერთობაზე დაფუძნებული პარტნიორობა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, როდესაც მოქალაქეები აქტიურ როლს თამაშობენ და უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ სიტუაციაში, მართალია, საბოლოო გადაწყვეტილებას ხელისუფლების ორგანოები იღებენ, თუმცა მოქალაქეები დიალოგის საშუალებით აწვდიან სახელმწიფო ან ადგილობრივ ინსტიტუტებს მოსაზრებებს, ალტერნატივებს და მიმართულებებს (ურუშაძე, 2015, pp. 9-10).

მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ დაწერილი ტიპოლოგიები მხოლოდ ზემოთ განხილულით არ შემოიფარგლება. თუმცა, დღეისათვის არსებული მოქალაქეთა მონაწილეობის ტიპოლოგიები ძირითადად 3 ან 4 დონისგან შედგება, არნშტეინი კი საკუთარ ტიპოლოგიაში ჩართულობის დონეებთან ერთად, აყალიბებს 8 საფეხურს, რაც სხვა ტიპოლოგიებისგან მის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ შეირჩა შერი ანშტეინის ტიპოლოგია, იმის დასადგენად თუ რა ხარისხის თანამონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა თითოეულ ქალაქში არსებული კონკრეტული გონიერი ქალაქის ინსტრუმენტი.

1.2 გონიერი ქალაქის თეორია

მეოცე საუკუნის ბოლო წლებში ხდება ორი მნიშვნელოვანი ფენომენის ურბანიზმისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთმანეთთან შერწყმა. რასაც მოჰყვა ადამიანებისთვის არაერთი შესაძლებლობის შეთავაზება სამუშაო გარემოში, საგანმანათლებლო და სხვა სფეროებში. ადამიანებისთვის მრავალი შესაძლებლობლობის შეთავაზებამ კი პოზიტიურთან ერთად ნეგატიური გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე. ურბანიზმისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთმანეთთან შერწყმა ერთის მხრივ იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეორეს მხრივ კი ქალაქების ამგვარად დატვირთვით ქალაქში იზრდება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, ნახშიროჟანგი, ნარჩენები. შედეგად ქალაქში ჩნდება ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების მოთხოვნილება და ტერიტორიებსა და ადეკვატურ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის საჭიროება. დედამიწისა და ადამიანების ჯანმრთელობის გადასარჩენად ხსნას კი გონიერი ქალაქის დანერგვა წარმოადგენს, რადგან სწორედ ამ კონცეფციას შეუძლია ურბანული საკითხების გადაჭრა გარემოზე ყურადღების გამახვილების გზით. ამ მიზეზით XX საუკუნის 90-იან წლებში ჩნდება გონიერი ქალაქის კონცეფცია, რაც გულისხმობთ ქალაქებში ბევრი სატრანსპორტო საშუალებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრას, ჰაერის დაბინძურების შემცირებას, მდგრადი ეკონომიკის შექმნას და სხვა (Cocchia, 2014, p. 14).

როგორც აღინიშნა, 21-ე საუკუნეში ქალაქები ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, ცხადია, რომ ეს მოითხოვს ამ პრობლემების გონივრულად გადაწყვეტას. დღესდღეობით, მმართველობითმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია უკეთესი გადაწყვეტილების მიღება (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც 50%-ზე მეტი ცხოვრობს ქალაქებში და ასევე, სადაც ქალაქებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა მკვეთრად იზრდება). ტექნოლოგიური ცვლილებების გამო გაცილებით მარტივდება მოქალაქეების მმართველობით

პროცესებში ჩართვა. დღეს აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ბიუროკრატიული სტრუქტურები გახდნენ უფრო მოქნილები სხვადასხვა ქვეყნებში. ქალაქების ზომები იმდენად იზრდება დემოგრაფიულად და გეოგრაფიულად, რომ ხელისუფლების მუშაობის ძველი გზები სულ უფრო ნაკლებად გამოყენებადი ხდება.

გონიერი ქალაქის შესახებ ლიტერატურა ბოლო ხანებში განსაკუთრებით იზრდება, რადგან აღიარებულია, რომ ქალაქებში არსებული პრობლემების მოგვარება შესაზლებელია ურბანული განვითარების პოლიტიკისა და ტექნოლოგიების იმ ინოვაციურ ფორმებთან დაკავშირების მეშვეობით, რომლებიც იძლევა მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობას. გონიერი ქალაქი შეიძლება განიმარტოს, როგორც საშუალება, რომელიც შესაძლებელს ხდის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ტექნოლოგიების გამოყენებითა და მოქალაქეთა ჩართულობით, უსაფრთხოებისა და სიცოცხლიუნარიანობის სფეროში წარმატების მიღწევას. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ ტექნოლოგიების გამოყენება არ იქნება ეფექტური, ხელისუფლება, რომელიც მიზნად ისახავს გონიერი ქალაქის სტრატეგიების შემუშავებას ტექნოლოგიური ინოვაციების დანეგვასთან ერთად ხელს უნდა უწყობდეს მოქალაქეების ჩართულობის ხელშეწყობას. გონიერი ქალაქის კონცეფციისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივი ჩართლობის კომბინაცია ურბანული განვითარებისთვის (Dean, 2016).

ალბერტ მეიერი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ადეკვატური და ინოვაციური მიდგომები იმისათვის, რომ მოახერხოს დღეს არსებულ მრავალფეროვან პრობლემებთან გამკლავება. ხელისუფლებისთის უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა წარმოადგენდეს მდგრადი ზრდა, სოციალური ჩართულობა, დანაშაულის კონტროლი და პრევენცია. ურბანული სისტემები სულ უფრო მეტად ვითარდება, ამიტომ საჭიროა ახალი და ინოვაციური მმართველობის ფორმების დანერგვა.

გონიერი ქალაქის კონცეფციის დანერგვით შესაძლებელია ქალაქების გონიერი ქალაქად გარდაქმნა ისე, რომ მან ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებასთან ერთად, მოახერხოს მდგრადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა (Meijer, 2016, p. 73).

ტექნოლოგიური ინოვაციები ეხმარება ხელისუფლებას ჩვენს თანამედროვეობაში არსებულ ურბანულ მართვასა და ურბანულ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ახალი ტექნოლოგიური მიღწევები ხელს უწყობს ურბანული სისტემების განვითარებას, ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავების გზით. გონიერი ხელისუფლებად კი მიიჩნევა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია ახალი ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის გამოყენებით ურბანული მმართველობის გაუმჯობესება. (Meijer, 2016, p. 74)

გონიერი ქალაქი საკუთარ თავში მოიაზრებს ქალაქის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას, საჯარო ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობას, ქალაქში მწვანე გარემოს შექმნას და სხვა. გონიერი ქალაქი აერთიანებს ციფრულ ქალაქს, სადენიან ქალაქს, ცოდნის ქალაქსა და მწვანე ქალაქს. (Dean, 2016)

დღესდღეობით, გონიერი ქალაქის კონცეფცია განიხილება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემად ურბანულ განვითარებაში. როგორც აღინიშნა, სხვადასხვა ქვეყნები მუდმივად ცდილობენ გონიერ ქალაქად გარდაქმნას, რადგან ის უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის ცხოვრების კარგი ხარისხის შეთავაზებას. გონიერ ქალაქად გარდაქმნის პროცესი კი მოიცავს სხვადასხვა აქტორების ურთიერთქმედებას, ეს აქტორები არიან როგორც საჯარო და კერძო სფეროების წარმომადგენლები, ისე მოქალაქეები.

„მაღალი ტექნოლოგიური განვითარები კვალდაკვალ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალაქი იყოს გონიერი, რომელიც თავის თავში არ გულისხმოს მხოლოდ ტექნოლოგიებს. ტექნოლოგიებთან ერთად იგულისხმება, რომ ქალაქი უნდა იყოს გონივრულად დაგეგმილი, რათა უფრო ნაკლები რესურსითა და დანახარჯით, მიღწეული იყოს უფრო დიდი შედეგი, რასაც წლების წინ გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა“ (გიგაშვილი, 2018).

1.2.1 გონიერი ქალაქის განზომილებები და მახასიათებლები

გონიერი ქალაქის კონცეფცია ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, რადგან ის შედგება სხვადასხვა განზომილებებისა და მახასიათებლებისგან. ნამი და პარდო აღნიშნავენ, რომ გონიერი ქალაქი დაკავშირებულია სამ განზომილებასთან, ესენია: ტექნოლოგიური, ადამიანური და ინსტიტუციონალური.

უმნიშვნელოვანეს განზომილებას წარმოადგენს ტექნოლოგიური, რადგან ხშირ შემთხვევაში გონიერი ქალაქის საფუძველს წარმოადგენს ინტერნეტზე დაფუძნებული ინოვაციური პრაქტიკა, ამ დროს ჩნდება კარგი ხარისხის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ელემენტის დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით ხაზგასმულია ლიტერატურასა და კვლევებში, რომლის მიხედვითაც, პროგრამული უზრუნველყოფის, იფორმატიკის, ელექტროენერგიის, ტელეომუნიკაციებისა და სატრანსპორტო სფეროების განვითარება დიდწილად უწყობს ხელს გონიერი ქალაქის მოდელის განვითარებას.

გონიერი ქალაქი ასევე მოიცავს ადამიანური კაპიტალის კომპონენტს, როგორც ძირითად ელემენტს, რომელიც წარმოიშვა ეკონიმიკური განვითარებით დაინტერესებიდან, მის საფუძველს კი წარმოადგენს ცოდნა და შემოქმედებითობა, რაც აღიქმება ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ერთია გამოცდილი და შემოქმედებითი ადამიანის არსებობა, ხოლო მეორე და უფრო მნიშვნელოვანი გამოცდილებისა და ცოდნის ერთმანეთთან გაცვლის შესაძლებლობების არსებობაა.

ტექნოლოგიური და ადამიანური განზომილებების კომბინაცია გვაძლევს ინსტიტუციონალურ განზომილებას, რაც საკუთარ თავში მოიაზრებს გონიერ საზოგადოებასა და გონივრულ ეკონომიკურ ზრდას. გონიერ საზოგადოებაში იგულისხმება ისეთი თემის არსებობა, სადაც ჩართულია სხვადასხვა აქტორი, იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ადამიანურ კაპიტალს ურბანული გარემოს უკეთესობისკენ შეცვლის მიზნით (Nam, Pardo, 2011, pp. 282-291).

აღნიშნული განზომილებების დავიწროვებით ჩვენ მივდივართ გონიერი ქალაქის 6 მახასიათებლამდე, ეს მახასიათებლებია - გონიერი ეკონომიკა, გონიერი ხალხი, გონიერი მართვა, გონიერი მობილობა, გონიერი გარემო და გონიერი ცხოვრება. გონიერი ქალაქი აღიქმება ისეთ თანამეგობრობად, სადაც სხვადასხვა დოზით ვლინდება თითოეული მახასათებელი. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია ხალხისა და სიცოცხლისუნარიანობის ასპექტებზე.

გონიერი მმართველობა: ეხება პოლიტიკასა და პოლიტიკურ სტრატეგიებს და გულისხმობს ურბანული დაგეგმარების გაფართოვებას. იდეალური გონიერ მმართველობა გამჭირვალე სისტემაა, ასევე ითვალისწინებს ელექტრონული მმართველობის არსებობას, რომელიც ფართო საზოგადოებას შესაძლებლობებს აძლებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებაში. ის ხასიათდება ფორმალური, ნახევრად ფორმალური და არაფორმალური პროცესების, პარტნიორობის, ქსელებისა და სპეროების დაბალანსებით.

გონიერი ეკონომიკა: ეხება გლობალურ, პასუხისმგებურ და ტრანსფორმაციულ ტრანზაქციებს, ეფექტური პროდუქციისა და მომსახურებისთვის საჭიროა ინოვაციური ტექნიკები, რაზეც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობა.

გონიერი გარემო: ეხება ბუნებრივ რესურსებზე ზრუნვას, მოიცავს მდგრადი რესურსების მენეჯმენტს, გარემოს დაცვასა და დაბინძურების შემცირებას, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მწვანე ნაგებობების აშენება და მწვანე ენერგიის წარმოებას/მოხმარება.

გონიერი მობილობა/მოძრაობა: ეხება მდგრად და ინოვაციურ სატრანსპორტო სისტემებს. იგულისხმება როგორც საჯარო, ისე პირადი მობილობის მენეჯმენტი, რაც ზრდის გადაადგილების სასურველი ვარიანტის არჩევის შესაძლებლობებს(ტრამვაი, მატარებელი, მანქანა, მეტრო, ველოსიპედი და სხვა).

გონიერი ადამიანები: ეხება სოციალურ და ადამიანურ კაპიტალს, ქალებისა და მამაკაცების კვალიფიკაციის დონეს სხვადასხვა სფეროებში, რომლებიც მოტივირებულები არიან ისწავლონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს შემოქმედებითობა, ტოლერანტობა, კოსმოპოლიტიზმი.

გონიერი ცხოვრება: ეხება სიცოცხლის ხარისხს, რაც ფასდება სიცოცხლისუნარიანობისა და უსაფრთხოების პარამეტრების მიხედვით. ის მოიცავს ყოველდღიური ცხოვრებისთვის ხელშემწყობ ინფრასტრუქტურას, მუშაობის შესაძლებლობებს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ პირობებს და ბოლოს, ბუნებასა და განათლებასზე წვდომას (Staffans, Horelli, 2014).

თავი 2. ევროპული ინოვაციური პარტნიორობა

გონიერი ქალაქთან და საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს ევროპული ინოვაციური პარტნიორობა, რომელიც წარმოადგენს ახალ მიდგომას კვლევისა და ინოვაციებისადმი. ასევე იკვლევენ აქტიური და ჯანსაღი დაბერების, წყლის, ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საკითხებს (European Commission).

ევროპის ინოვაციური პარტნიორობა გონიერი ქალაქებისა და საზოგადოების შესახებ აერთიანებს ქალაქებს, მრეწველობასა და მოქალაქეებს, მდგრადი გადაწყვეტილებების მიღების მეშვეობით, გაუმჯობესებული ურბანული ცხოვრების მიღწევის მიზნით. ის მოიცავს ინოვაციებისა და მონაწილეობითი მიდგომის დანერგვას, უკეთესი სატრანსპორტო გააწყვეტილებების მიღებას, ინფორმაციული და ტექნოლოგიური კომუნიკაციების გონივრულ გამოყენებას და ა.შ (Smart Cities and Communities).

გონიერი ქალაქისა და საზოგადოების საკითხებზე მომუშავე ევროპული ინოვაციების პარტნიორობამ გამოაქვეყნა მანიფესტი მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. მანიფესტის მიხედვით, ურბანული სერვისების შექმნისა და ხელშეწყობისთვის, ქალაქებში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის და მდგრადი ქალაქებისა და ცოცხალი გარემოს შექმნისთვის, სასიცოცხლოდ აუცილებელია მოქალაქეების ჩართულობა.

მანიფესტი მიზნად ისახავს მოქალაქეების ჩართულობის ხელშეწყობას გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში. მანიფესტზე ხელმომწერით ადამიანებმა საკუთარ თავზე აიღეს შემდეგი ვალდებულებები:

- ეფექტური პრაქტიკის შესახებ გამოცდილების გაზიარება;
- ცოდნის გაზიარება წარმატებული პრაქტიკების შესახებ;
- ქალაქების განვითარებისთვის ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართვა;

- მსხვილი და პატარა ქალაქების, ქალაქისა და სოფლის ერთმანეთთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მანიფესტი მიზნად ისახავს თანამშრომლობას შემდეგ საკითხებზე:

- გონიერი ქალაქის პროექტების უპირატესობებისა და სარგებლის შესახებ მოქალაქეებში ცნობიერების ამაღლება;
- ლიდერობა მოქალაქეთა ჩართულობაში;
- გონიერი ქალაქის ახალი პროექტების შემუშავება, უკვე არსებულის განვითარება;
- ღია მონაცემების გამოყენება, იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ წვდომა მონაცემებზე;
- ინვაციური იდეებისა და მეცნიერების წახალისება გონიერ მოქალაქეებში. (Kakderi, 2017)

თავი 3. გონიერი ქალაქის იდეა

3.1 გონიერი ქალაქის იდეა ამსტერდამში

დღესდღეობით, მრავალი რეიტინგი არსებობს გონიერი ქალაქების შესახებ. რეიტინგებში სხვადასხვა ქალაქები, როგორც გონიერი ქალაქები განსხვავებულ ადგილებს იკავებენ. აღსანიშნავია, რომ ამ რეიტინგების უმეტესობა ფოკუსირებულია მხოლოდ ერთ სფეროზე, განსაკუთრებით ხშირად ფოკუსირება ხდება ქალაქების ტექნოლოგიებსა და გარემოსთან დაკავშირებულ საქმიანობაზე. ნავარას უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა (IESE) 2016 წელს აქვეყნებს გონიერი ქალაქების რეიტინგს და მასში განხილულია ყველა ის ასპექტი, რომელიც 181 ძირითად ქალაქში უზრონველყოფს მდგრადობასა და ხარისხს. რეიტინგი წარმოებულია უნივერსიტეტის ორი პროფესორის - პასკუალ ბერონისა და ჯოან ენრიკ რიკარტის ხელმძღვანელობით. სხვა რეიტინგებისგან განსხვავებით, ნავარას მიერ ჩატარებული რეიტინგი ითვალისწინებს 77 ინდიკატორს, რომელიც ასახავს ურბანული ცხოვრების 10 განზომილებას, ესენია: ეკონომიკა, ტექნოლოგია, ადამიანური კაპიტალი, სოციალური ინტეგრაცია, საერთაშორისო ურთიერთობები, გარემო, მობილობა და ტრანსპორტირება, ურბანული დაგეგმარება, საჯარო მართვა და მმართველობა. ინდექსის მიხედვით ამსტერდამი მე-6 ადგილს იკავებს (IESE Business School , 2016, p. 23).

“ამსტერდამი ერთ-ერთი კარგი მაგალითია გონიერი ქალაქის კონცეფციაზე სასაუბროდ, რადგან ქალაქში ყველა მიმართულებით არის გაწეული აქტიური სამუშაოები. ბევრი რამ იქმნება მოსახლეობის ჩართვის კუთხით, კერძოდ, არის რამოდენიმე პლატფორმა, რომელიც არა მარტო ცალკეული მოქალაქეებისთვის ქმნის სივრცეს, არამედ სხვადასხვა აქტორებისთვისაც. ისინი ერთად ღებულობენ მონაწილეობას დაგეგმვაში. არსებობს სივრცე, სადაც იკრიბებიან ეს ადამიანები, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს, ხედვებს, პრობლემებს და ეს არ ჰგავს მეზობლებს შორის საუბარს, იმიტომ რომ აქ არის ჩართული ქალაქის მმართველობა, ბიზნესი, არასამთავრობო სექტორი. სივრცეა შექმნილი, სადაც ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამსტერდამს მრავალი წარმატება აქვთ კრიზისული მართვის, სატრანსპორტო

პოლიტიკის, ნარჩენების მართვის კუთხით. ამსტერდამში სატრანსპორტო სისტემა, მრავალი მიმართულებით ვითარდება და ასეც უნდა იყოს, რადგან სატრანსპორტო სისტემას გონიერ ქალაქში უდიდესი ადგილი უჭირავს. ქალაქში უნდა არსებობდეს ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალება, იქნება ეს ელექტრონული მობილები, ჰიბრიდები, ველოსიპედები თუ სხვა“ (ხუციშვილი, 2017).

ამსტერდამში არსებული გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების მოძებნა მარტივია, რაც განპირობებულია „ამსტერდამი გონიერი ქალაქის“ ვებგვერდის არსებობით (www.amsterdamsmartcity.com), სადაც თავმოყრილია ქალაქში არსებული ყველა გონიერი ქალაქის ინსტრუმენტი ექვსი სფეროდან, ესენია: ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია; ენერგია, წყალი და ნარჩენები; მობილობა; ცირკულარული ქალაქი; ხელისუფლება და განათლება; მოქალაქეები და ცხოვრება.

ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების მიმართულებით დღეს ამსტერდამს არაერთი მიღწევა და წარმატება აქვს. ამ მიმართულების განვითარებასთან ერთად, ხალხი განსაკუთრებულად დამოკიდებული ხდება ტექნოლოგიებზე, ტექნოლოგიები თანამედროვეობაში სულ უფრო და უფრო ხდება ადამიანების ცხოვრების ყოველდღიური ნაწილი. 2014-2015 წლებში ამსტერდამში ინტერნეტის მოხმარება 27%-ით გაიზარდა. 2017 წლის მონაცემებით ევროპული ციფრული ქალაქის ინდექსის მიხედვით ამსტერდამი მეხუთე ადგილს იკავებს (Index, 2017, p. 12). ქალაქში სულ უფრო და უფრო იზრდება გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების დანერგვა ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სფეროდან, ამ ინსტრუმენტების მაგალითებს წარმოადგენს - სახურავების რევოლუცია, რომლიც სახურავების გამწვანებას გულისხმობს, გონიერი ქუჩის განათებები, რომელიც მზისა და ქარის ენერგიების საშუალებით ველობილიკების განათებაში გამოიხატება და ა.შ.

რაც შეეხება ენერგიის, წყლისა და ნარჩენების სფეროს, ამ მხრივ ისინი აღნიშნავენ, რომ „მდგრადი ენერგია მომავალია“. ამსტერდამს აქვს ამბიცია რომ მომავალ წლებში ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება მზის პანელებით. ნარჩენების ელექტროენერგიად კონვერტირებით, ამსტერდამის ელექტროენერგიის კომპანია 900

კვტ ენერგიას ქმნის 1000კგ ნარჩენიდან. საკანალიზაციო სისტემის ნარჩენების 75%-ს კი გარდაქმნიან ნატურალურ გაზად (Amsterdam Smart City, 2018).

მობილობისა და ტრანსპორტის სფერო მნიშველოვანია ქალაქის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის. ამსტერდამი ითვლება ველოსიპედების მსოფლიო დედაქალაქად, რადგან ამსტერდამში მოძრაობის 32% მოდის ველოსიპედებით გადაადგილებაზე, მოსახლეობის 63% ყოველდღიურად იყენებს ველოსიპედს. ელექტრომანქანების მფლობელთა რაოდენობა 2016 წელს 53%-ით გაიზარდა და მან მიაღწია 28 889-ს (Amsterdam Smart City, 2018). ამსტერდამს მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სატრანსპორტო სისტემა გააჩნია, რადგან ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ არჩევანი გააკეთონ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებაზე, ეს საშუალებებია - მეტრო, ტრამვაი, ავტობუსი, ბორანი, მატარებელი, ველოსიპედი და სხვა.

ქალაქში არსებული საზოგადოებრივი სატრანსპორტო კომპანია (GVB), საკუთარი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებლებს გონიერი ქალაქის ინსტრუმენტის სახით სხვადასხვა სერვისებს სთავაზობს, მათ შორისაა ველოსიპედის დაქირავება, ველო-ტურების დაგეგმვა, პარკირება, ტაქსის გამოძახება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის 24, 48 და 72 საათიანი ბარათების შეძენა და სხვა. ამსტერდამის საზოგადოებრივ სატრანსპორტო კომპანიას გააჩნია მობილურის აპლიკაციები, რომლებიც Android-ისა და IOS-ის პლატფორმაზე მუშაობს. თუმცა თბილისისგან განსხვავებით, იმ აპლიკაციების რაოდენობა, რომლებიც ამსტერდამში გადადგილებაში მომხმარებლებს ეხმარებათ, შეადგენს 17-ს (I amsterdam, 2018) . მათ შორის ერთ-ერთია აპლიკაცია GVB, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მარშრუტის დაგეგმვა, სატრანსპორტო საშუალების გამგზავრებისა და ჩამოსვლის შესახებ ინფორმაციის მიღება, გაჩერებებზე სატრანსპორტო საშუალების მოსვლის დროების ნახვა და ა. შ.

ცირკულარული ქალაქის სფერო გულისხმობს წრფივიდან ცირკულარულ (წრიული) ეკონომიკაზე გადასვლას, რაც გამოიხატება ნარჩენებისა და დაბინძურების შემცირებასა და გადამუშავებაში. გადამუშავებით შესაძლებელია საკმაოდ დიდი

რაოდენობის რესურსის დაზოგვა. ამსტერდამი ამართლებს ცორკულარული ქალაქის სახელს, რადგან ყოველწლიურად ნარჩენების გადამუშავებით რესურსების დიდ ნაწილს ზოგავს (Amsterdam Smart City, 2018).

ხელისუფლებისა და განათლების სფერო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს ჩვენი საკვლევი თემისთვის, რადგან სწორედ ეს სფერო იძლევა მოქალაქეთა ჩართულობის ყველაზე მაღალი ხარისხის შესაძლებლობებს. ამსტერდამის წარმომადგენლები თვლიან, რომ გონიერი ქალაქის შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც მას შეუძლია შეიძინოს და შეინარჩუნოს ცოდნა. ამსტერდამი ითვლება ცოდნის ქალაქად, ამსტერდამის მკვიდრთა 40% ფლობს უმაღლეს განათლებას. ქალაქში არსებული 7 მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან, ხელისუფლება კი მოქალაქეებს აძლევს ინიციატივების წამოყენებისა და განხორციელების შესაძლებლობებს (Amsterdam Smart City, 2018).

რაც შეეხება მოქალაქეებისა და ცხოვრების სფეროს, მუნიციპალიტეტი აქციურად თანამშრომლობს მოქალაქეებთან. ყოველ წელს ქალაქში მოსახლეობა საშუალოდ 10 000 ადამიანით იზრდება.2018 წლის მონაცემებით ამსტერდამის ფართობი შეადგენს 219.3 კვ კმ-ს, ამსტერდამში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა კი - 1,117,000-ს (Amsterdam Population, 2018). ასევე, სულ უფრო და უფრო იზრდება ტურისტების რაოდენობა. იმისათვის, რომ ამსტერდამის 165 კანალს, მონუმენტურ ცენტრსა და საცხოვრებელ ფართს შეუნარჩუნდეს სიცოცხლისუნარიანობა, თვლიან რომ საჭიროა ინოვაციური ინიციატივები, რასაც გონიერი ქალაქი უზრუნველყოფს (Amsterdam Smart City, 2018).

3.2 გონიერი ქალაქის იდეა თბილისში

ამსტერდამისგან განსხვავებით, თბილისი გონიერ ქალაქად გარდაქმნის პროცესშია. ამ ეტაპზე თბილისი არ არის მსოფლიოს გონიერი ქალაქების რეიტინგებში, თუმცა თბილისის მიღწევებზე გონიერი ქალაქის მიმართულებით ინტერნეტ სივრცეში ვხვდებით ინფორმაციებს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს კატარის ქალაქ ლუსაილში,

გონიერი ქალაქის პროექტების მენეჯერის იბრაჰიმ კოცაგოზის სტატია თბილისის შესახებ. სტატია ეხება თბილისში არსებულ გონიერი ქალაქის ინსტრუმენტებს, სტატიის ბოლოს კი თბილისი შეფასებულია სამ კატეგორიაში ერთად, ესენია: უსაფრთხოება, ტრანსპორტი, ხელმისაწვდომობა. ცხადია ეს შეფასება არ იქნება ვალიდური თბილისის, როგორც გონიერი ქალაქის შესაფასებლად, რადგან ის არ მოიცავს გონიერი ქალაქის ყველა მიმართულებას - მმართველობას, ეკონომიკას, გარემოს და ადამიანებს. თუმცა, მეტად საინტერესოა კოცაგოზის მიერ საქართველოს შეფასება. როგორც აღინიშნა თბილისი შეფასებულია სამ კატეგორიაში. უსაფრთხოება მოიცავს გადაუდებელი ზარების, პოლიციის და სხვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებებს; ტრანსპორტი - გაჩერებების, სადგურების, საცობების, გადაადგილების საშუალებების, ტაქსის აპლიკაციების და სხვა ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხების შეფასებებს; ხელმისაწვდომობა - უსადენო ინტერნეტის, სიმ-ბარათების, ქალაქის აპლიკაციების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის შექმნილი პირობების და სხვა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებებს. შეფასების მაქსიმალურ ქულას წარმოადგენდა 100, საიდანაც თბილისმა ზემოთ ჩამოთვლილ სამ კატეგორიაში ერთად დააგროვა 77. ქულების მიხედვით ხუთი დონიდან (ძალიან ცუდი, ცუდი, საშუალო, კარგი, შესანიშნავი) თბილისმა მოიპოვა კარგი გონიერი ქალაქის სტატუსი (Kocagoz, 2017).

ავტორის აღფრთოვანება გამოიწვია უფასო სიმ-ბარათებმა. ასევე, დიდი მოწონება დაიმსახურა უფასო უკაბელო ინტერნეტმა, რომელიც სწრაფი, სანდო და ყველასთვის ხელმისაწვდომია, მას არ სჭირდება უსაფრთხოების კოდის შეყვანა. კოცაგოზი ასევე საუბრობს სხვდასხვა აპლიკაციების შესახებ, რომლებიც გონიერი ქალაქის კონცეფციაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ის გამოყოფს „თბილისს უყვარხარ შენ“ და „ტაქსიფაი“ აპლიკაციებს. პირველის მეშვეობით ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მოძებნონ კონკრეტული ადგილები (ღირშესანიშნაობები, რესტორნები, სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები და სხვა), მეორის მეშვეობით კი შესაძლებელია ტაქსის გამოძახება, გადასახდელი თანხის წინასწარ ცოდნა და მხოლოდ 5 წუთიანი ლოდინი კი დიდ მოწონებას იმსახურებს ავტორის მხრიდან. ბოლოს, ავტორი ყურადღებას ამახვილებს

იუსტიციის სახლზე - „ერთ სივრცეში ბევრი მომსახურბის თავმოყრის გამო, მოქალაქეებს მეტად უმარტივდებათ ცხოვრება“ (Kocagoz, 2017).

თბილისში ბოლო ხანებში დაიწყო გონიერი ქალაქის საკითხების წინა პლანზე წამოწევა. ასმტერდამის მსგავსად მეტად საინტერესოა თბილისში არსებული მგომარეობის განხილვა ზემოთ ჩამოთხვლილი ექვსი სფეროს მიხედვით - ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია; ენერგია, წყალი და ნარჩენები; მობილობა; ცირკულარული ქალაქი; ხელისუფლება და განათლება; მოქალაქეები და ცხოვრება.

ხელისუფლებისა და განათლების სფეროში თბილისში გვაქვს არაერთი წარმატება. ამსტერდამისგან განსხვავებით, არ იძებნება თბილისში მცხოვრები ადამიანების რამდენ პროცენტს აქვს უმაღლესი განათლება. მაგრამ შესაძლებელია UNICEF-ის კვლევის მოშველიება ახალგაზრდების განათლების დონის შესახებ. კვლევის მიხედვით ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების 29,7%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (UNICEF, 2015). ცხადია, სხვა ასაკობრივი კატეგორიების ადამიანებზეც კვლევის ჩატარების შემთხვევაში, შეიცვლება არსებული სურათი, თუმცა როგორც აღინიშნა მსგავსი კვლევა არ არის ჩატარებული საქართველოში. გონიერი მმართველობის მიმართულებით თბილისში არსებული წარმატების დასტურს წარმოადგენს 2017 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროული პეტიციების პორტალის ამოქმედება. პორტალის გამოყენებით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ელექტრონული პეტიციის შექმნა, ხოლო საკმარისი ხელმოწერის მოგროვების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება უპასუხოს პეტიციას და ეს პასუხი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს პორტალზე (www.ichange.gov.ge). გარდა ამისა, წარმატებით განხორციელებულ ინიციატივებში შედის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული ბიუჯეტის მონიტორის პორტალი, საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება და სხვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მოქალაქეებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს - მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ დაუკავშირდნენ მერსა და მერიას, რაც გაცილებით მარტივსა და კომფორტულს ხდის კომუნიკაციას

ხალხსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის (www.tbilisi.gov.ge). თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სერვისებიდან ასევე აღსანიშნავია - დაგეგმე ბიუჯეტი, სადაც პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის შეყვანის შემდეგ, მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ პრიორიტეტების მიხედვით დაალაგონ ქვეყანაში არსებული პრობლემები. დღეის მდგომარეობით ყველაზე პრიორიტეტულად მიჩნეულია ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება, რასაც მოჰყვება განათლება და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. რაც შეეხება ბოლოს, ესაა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა და კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა (www.budgetplanning.tbilisi.gov.ge, 2018). ცხადია დიდ მიღწევას წარმოადგენს გონიერი მმართველობის მიმართულებით თბილისში არსებული სხვადასხვა პროგრამები და პროექტები, თუმცა დღემდე უდიდეს გამოწვევად რჩება შედეგები, კერძოდ რამდენად არის ინფორმირებული ხალხი, რამდენად მონაწილეობენ მასში და ასევე რამდენად ხდება მოქალაქეების ინტერესების რეალობაში გატარება.

როგორც აღინიშნა კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს მობილობა და ტრანსპორტი. დღესდღეობით თბილისში შეინიშნება სატრანსპორტო პოლიტიკის გაუმჯობესება. კერძოდ, 2017 წლიდან ხდება ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი ადაპტირებული და ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსების დამატება, პეკინის ქუჩაზე ველობილიკის მოწყობა, ჭკვიანი შუქნიშნებისა და კამერების დამონტაჟება, მეტროს ახალი სადგურისა („უნივერსიტეტი“) და სამარშუტო ხაზების დამატება და სხვა.

მობილობის მიმართულებით არსებულ გონიერი ქალაქის ერთ-ერთ ინსტრუმენტ სწარმოადგენს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით (http://ttc.com.ge) თბილისში მცხოვრები ადამიანებისთვის შეთავაზებული ოთხი სახის სერვისი. აქედან პირველია მგზავრობის დაგეგმვა. გასვლის ადგილისა და დროის და დანიშნულების პუნქტის მითითების შემდეგ სერვისი გთავაზობთ მგზავრობის გეგმას, მგზავრობისთვის საჭირო დროის მითითებით. ვებგვერდის მეორე სერვისს წარმოადგენს გრაფიკები, მარშრუტები, სადაც იძებება ინფორმაცია მარშრუტის სქემისა და გაჩერების განრიგის შესახებ როგორც სამუშაო დღეებში, ისე შაბათ-კვირას.

მესამე სერვისს წარმოადგენს ავტობუსი რეალურ დროში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ნებისმიერ გაჩერებაზე ავტობუსების მოსვლის დროების ნახვა. ბოლო მეოთხე სერვისია ტაბლოს ინფორმაცია, გაჩერების/ტაბლოს მოძებნის შედეგად წინა სერვისის მსგავსად შესაძლებელია ავტობუსების მოსვლის დროების ნახვა.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მობილურ აპლიკაციას როგორც Android-ის, ისე IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის. აღნიშნული აპლიკაცია, მომხმარებელს საშუალებას აძლევს მობილური ტელეფონიდან გამოიყენოს ყველა ის სერვისი, რომელსაც კომპანია სთავაზობს საკუთარ მგზავრებს.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, გონიერი მობილობა საქართველოს რეალობაში დღემდე უდიდეს პრობლემად რჩება, რადგან მოქალაქეებს არ აქვთ ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების შესაძლებლობა. კერძოდ, ქალაქში არ არსებობს ტრამვაი, პეკინის კარგდა არცერთ ქუჩაზეა კეთილმოწყობილი ველობილიკები, არსევე უდიდეს პრობლემად რჩება გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცობები და პარკირება.

ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სფეროში, ასევე შეინიშნება წარმატებული ნაბიჯები. საქართველოში ბოლო პერიოდში ინტერნეტ მმართველობის რამდენიმე წარმატებული ფორუმი (GeoIGF) ჩატარდა, რამაც დადებითი საერთაშორისო გამოხმაურება და შეფასება მიიღო, ამის შემდეგ ევროპული დიალოგის ინტერნეტ მმართველობის საკითხებზე საორგანიზაციო კომიტეტმა რიგით მე-11 EuroDIG 2018-ის თბილისში ჩატარების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ფორუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანაში, ხოლო მეორე შემთხვევა, როდესაც ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში ტარდება. დიალოგი ინტერნეტის მართვასა და ციფრული ეკონომიკის განვითარებას ეხება, კერძოდ: ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში, გამოხატვის თავისუფლება, საავტორო უფლებების დაცვა, მონაცემთა დაცვის შესახებ რეგულაციები (GDPR), კიბერუსაფრთხოება, ინტერნეტთან და კონტენტთან წვდომა, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სათემო ინტერნეტიზაცია, დომენები, ინტერნეტში ბავშვების დაცვა,

ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული კომერცია, ბლოკჩეინი, ციფრული წიგნიერება, ინოვაციები და ინტერნეტთან დაკავშირებული სხვა საკითხები (EuroDIG, 2018). ასევე დიდ წარმატებას წარმოადგენს ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების სფეროში თბილისი მერიის მიერ ავტობუსების გადაადგილების მაჩვენებელი ელექტრონული დაფების დამონტაჟება, რისი მეშვეობითაც, ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ ზუსტად განსაზღვრონ სასურველი მარშრუტის მოსვლის დრო ინგლისურსა და ქართულ ენებზე. ამ სფეროში არსებული სხვადასხვა წარმატებული ნაბიჯების მიუხედავად, ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის სფეროში ბევრი პრობლემა არსებობს, რის დამადასტრებელ ერთ-ერთ მაგალითსაც წარმოადგენს ქუჩები თუ შენობები, რომლებიც არ არის ადაპტირებული.

რაც შეეხება ენერგიის, წყლისა და ნარჩენების სფეროს, თბილისში ამ მხრივ მრავალი გამოწვევა არსებობს. „ენერგოეფექტურობა ახალი ხილია ჩვენთან. ჩემი მერიაში მუშაობის პერიოდში მოეწერა ხელი მერების შეთანხმებას, სადაც 4 000 ზე მეტი ქალაქია გაერთიანებული. შეთანხმება ითვალისწინებს 2020 წლამდე CO2-ის ემისიების 20% შემცირებას, რისთვისაც უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შორისაცაა მზის პანელების დანერგვა, ტრანსპორტის ინერგოეფექტურობის გაუმჯობესება, ეკოლოგიურად სუფთა მშენებლობა და სხვა“ (სალუქვაძე, 2018).

მერების შეთანხმებასთან დაკავშირებით არსებობს პრობლემა - პირველ რიგში ეს არის ხელისუფლების კეთილი ნება და მეორე არ არსებობს ქალაქში ენერგო ეფექტურობის სტანდარტები. რა სტანდარტების მიხედვით ვაფასებთ რომ შენობა არის ენერგო ეფექტური? ქალაქს არ გააჩნია განსაზღვრება თუ რას ნიშნავს ენეგო ეფექტურობა. ენერგოეფექტურად გადაკეთება ამ შემთხვევაში ძალიან პირობითია. ის შეიძლეობა იყოს ოდნავ უკეთესი, მაგრამ არ ნიშნავს რომ არის ენერგო ეფექტური“ (აბულაშვილი, 2018).

„ჩვენ მიღებული და დამტკიცებული გვაქვს ქალაქის ენერგო ეფექტურობის სამოქმედო გეგმა, ასევე ჩატარებული გვაქვს მრავალი აუდიტი, რომლის მიხედვითაც განვსაზღვრავთ თუ რა მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ. ამ ეტაპზე ჩვენ ვაპირებთ,

რომ ქალაქში არსებული მუნიციპალური შენობები ენერგო ეფექტური გავხადოთ და ის რესურსი, რასაც ადმინისტრაციული ორგანო მოიხმარს შევამციროთ, რაც ბევრ თანხას და რესურსს გამოანთავისუფლებს“ (გიგაშვილი, 2018).

„2010 წელს დაიწერა დოკუმენტი, რომელსაც მდგრადი ენერგეტიკული განვითარების გეგმა ჰქვია, დაამტკიცა საკრებულომ გაწერილია რიგი ღონისძიებები, მაგრამ აღარ სრულდება. ქალაქს აქვს ვალდებულება, რომ ორ წელიწადში ერთხელ ევროკავშირს მიაწოდოს ანგარიშები გეგმის ფარგლებში გაწეულ სამუშაოებზე, რაც არ კეთდება. 2011 წლიდან 2018 წლამდე მინიმუმ 4 ანგარიში უნდა დაეწერათ, რის მაგივრადაც მხოლოდ 2015 წლის ანგარიში შეადგინეს“ (აბულაშვილი, 2018).

„თქვენ ვერ იპოვით ვერცერთ უცხოელ ექსპერტს, რომელიც არ არის აღფრთვანებული ნაგვის შეგროვების იმ სისტემით, რომელიც თბილისში არსებობს. ეს არიან ძალიან რთული სისტემა, რომელიც ჯიპიესებით იმართება და ყველა მემანქანემ იცის, რა დროს რა ადგილზე უნდა მივიდეს“ (გიგაშვილი, 2018). თუმცა, დღეისათვის ქალაქში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ნარჩენების მაართვა. ყველა სახეობის ნარჩენი განურჩევლად ხვდება ნაგავსაყრელებზე მაშინ, როცა მისი დიდი ნაწილის გადამუშავებაა შესაძლებელი. ასევე არ ხდება ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი ნარჩენების მოვლა-პატრონობა, რითაც დიდი ზიანი ადგება გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობას.

ცირკულარული ქალაქი იკვეთება ენერგიის, წყლისა და ნარჩენების სფეროსთან, რადგან გულისხმობს მდგრადი ეკონომიკის შემუშავებას ნარჩენების გადამუშავების ხარჯზე. „ამ მხრივ თბილისში დაწყებულია მუნიციპალური ნარჩენების 5 წლიანი გეგმის შემუშავება, რომელიც წლის ბოლოსთვის დამტკიცდება. ის საკუთარ თავში მოიაზრებს არა მხოლოდ ნაგვის შემკრები კონტეინერების განთავსებასა და პოლიგონის მოწესრიგებას, არამედ ახალი სეპარირებული სისტემის დანერგვას ქალაქში და გადამუშავებას. გადამუშავებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტს უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საინვესტიციო ჯგუფთან, რომელიც 77 მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს, იმისათვის, რომ ქალაქში არსებობდეს ნაგვის

გადამამუშავებელი ქარხანა. ქვეყნის ვალდებულებაა, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან დავიწყოთ ნარჩენის სეპარირებულად შეგროვება და უკვე ვცდილობთ, რომ მამზადებულები შევხვდეთ 2019 წლის დასაწყისს“ (გიგაშვილი, 2018).

მოქალაქეებისა და ცხოვრების სფეროს რაც შეეხება, საქართველოს რეგიონების ურბანული განვითარების დაბალი დონის გამო, თბილისში სულ უფრო იზრდება ადამიანების რაოდენობა. 2018 წელს გამოქვეყნებული საქსტატის მონაცემებით, თბილისის ფართობი შეადგენს 69 700 კვ. კმ-ს, თბილისის მოსახლეობა კი - 1,158,700-ს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018). თბილისში ამსტერდამისგან განსხვავებით 3-ჯერ მეტი სიმჭიდროვეა, რადგან ორივე ქალაქში თითქმის ერთი და იგივე მოსახლეობაა, ამსტერდამის ფათობი კი სამჯერ აღემატება თბილისის ფართობს. აქედან გამომდინარე თბილისისათვის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად სასიცოცხლოდ აუცილებელია სხვადასხვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

აღსანიშნავია, რომ თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. „ქალაქში გამწვანების წილი არის ძალიან მწირე, ქალაქის განაშენიანებულ ადგილას ის ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 3კვ.მ-ს, როდესაც არსებობს ქალაქები, სადაც გამწვანების წილი 150-300კვ.მ-ია. ჩვენთან არის 3 კვ.მ-მდე და ისიც ძალიან ოპტიმისტურად არის დათვლილი. თან ისიც გასათვალისწინებელი, რომ ასე არ ხდება დათვლა. ჩვენ გამწვანების საერთო წილი ავიღეთ და გავყავით მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე. არადა, რეალურად ლაპარაკი არის იმაზე თუ რამდენად აქვს წვდომა მოსახლეობას საცხოვრებელი ადგილიდან გამწვანებულ ტერიტორიაზე. მაგალითად არის თუ არა 500 მეტრში ტერიტორია, სადაც შეგიძლია ჩამოჯდე, დაისვენო. აი ასე რომ დავითვალოთ მდგომარეობა გაცილებით ცუდი იქნება და შეიძლება გამწვანების წილი დაახლოები 1.2 კვ.მ იყოს“ (სალუქვაძე, 2018).

თბილისში არსებულ ჰაერის დაბინძურებაზე კვლევა არ იძებნება, თუმცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2016 წელს გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჰქონდა (World Health Organization, 2016),

რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. 2018 წელს კი ორგანიზაციამ შეცდომა აღიარა, რის შემდეგაც, საქართველომ პირველი ადგილიდან 70-ე ადგილზე გადაინაცვლა (ტყეშელაშვილი, 2018).

თბილისი ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის გამო პირველ ადგილზე არ არის, მაგრამ პრობლემა მაინც ძალიან მწვავედ დგას. გარკვეული ნაბიჯების გადადგმა უკვე დაწყებულია. „თბილისის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა ქალაქში გასაშენებელი ხე მცენარეების სია, შესაბამისად ეს უკვე წარმოადგენს სავალდებულო აქტს. ხე მცენარეები შერჩულია იმ ეკოლოგიური მდგომარეობისა და კლიმატის გათვალისწინებით, რაც თბილისში არსებობს. ასევე, განისაზღვრა გასაშენებელი ხე მცერარეების პარამეტრები, ვინაიდან მოგეხსენებათ, ქალაქში პატარა ზომის ნერგებია გაშენებული, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი სჭირდება იმისავის, რომ განვითარდეს და რაიმე შედეგი მოგვცეს, შესაბამისად მერიამ მიიღო გადაწყვეტილება რომ აქცენტი გააკეთოს ხარისხზე და არა რაოდენობაზე, შესაბამისად უკვე ხდება უკვე გათვითარებული, 5-10 წლიანი ხეების შესყიდვა“ (გიგაშვილი, 2018).

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამსტერდამსა და თბილისს შორის უმთავრეს განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ამსტერდამში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები, თბილისისგან განსხვავებით სისტემურად არსებობს. თბილისში შეინიშნება მრავალი გონიერი ქალაქის ინსტრუმენტის არსებობა, თუმცა ქალაქს არ გააჩნია სისტემური ხედვა, შესაბამისად არ არსებობს ინსტრუმენტები სისტემურად.

თავი 4. გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები თბილისსა და ამსტერდამში

გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების უმნიშვნელოვანეს გამნასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ხასიათი, კერძოდ ის თუ რამდენად აძლევს მოქალაქეებს თანამონაწილეობის შესაძლებლობებს. ზოგიერთი გონიერი ქალაქის ინსტრუმენტი მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობას საერთოდ არ იძლევა, ან თუ იძლევა, იმდენად დაბალს, რომ მას სერვისულ ინსტრუმენტებსაც კი უწოდებენ. შერი არნშტეინის სამოქალაქო მონაწილეობის კიბის მიხედვით, დაბალი და საშუალო ხარისხის თანამონაწილეობას მიეკუთვნება ის საფეხურებს, რომლებიც არამონაწილეობისა და სიმბოლური მონაწილეობის დონეებს ასახავს. ეს საფეხურებია - მანიპულირება, თერაპია, ინფორმირება, კონსულტირება, დამშვიდება.

სერვისზე ორიენტირებული გონიერი ქალაქის ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, რეალურ ჩართულობაზე ორიენტირებული გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები იძლევა მაღალი ჩართულობის შესაძლებლობებს. შერი არნშტეინის სამოქალაქო მონაწილეობის კიბის მიხედვით, მაღალი ხარისხის თანამონაწილეობას მიეკუთვნება ის საფეხურებს, რომლებიც მოქალაქეთა ძალაუფლების დონეებს ასახავს. ეს საფეხურებია - პარტნიორობა, ძალაუფლების დელეგირება, მოქალაქეთა კონტროლი.

4.1 „შენი იდეა ქალაქის მერს“ და „ამსტერდამი გონიერი ქალაქი“

ბოლო ხანებში საქართველოში შეინშნება ელექტრონული პორტალების შექმნის ზრდის ტენდენცია, რასაც ადასტურებს ერთ-ერთი ახალი პორტალის ამოქმედება სახელწოდებით - „შენი იდეა ქალაქის მერს“ (www.idea.tbilisi.gov.ge). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, კახა კალაძის ინიციატივით, ელექტრონული პეტიციების პორტალი 2018 წლის თებერვალში ამოქმედდა. ელექტრონული პორტალის მეშვეობით, შესაძლებელია ახალი იდეების დამატება და უკვე დამატებული იდეების გაცნობა და ხმის

მიცემა. განხილვისა და შესაბამისი ხმების მიღების შემდეგ, განსახილველად, მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცემა.

ვებპორტალზე 13 კატეგორიაა განთავსებული, რომლის არჩევის შემდეგაც, მოქალაქეს იდეის დაფიქსირებისა და კონკრეტულ პროექტზე ხმის მიცემის საშუალება აქვს. ეს კატეგორიებია - საგზაო ინფრასტრუქტურა; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; ნარჩენების მართვა; წყალმომარაგება-წყალარინება; გარე განათება; გამწვანება; სკოლამდელი, არაფორმალური და პროფესიული განათლება; შშმ პირთა ინკლუზია და მათთვის გარემოს ადაპტაცია; კულტურული, სპორტული ან ახალგაზრდული საკითხები; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო; მიერიის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხები და ეკონომიკური განვითარება.

პორტალი წარმოადგენს მერიის საქმიანობაში თბილისში რეგისტრირებული მოსახლეობის ჩართულობისა და ქალაქისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინიციატივების ონლაინ წარდგენის მექანიზმს, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს მონაწილეობა მიიღონ ქალაქის განვითარებაში. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, შესაძლებელია იდეის დამატება, რისთვისაც საჭიროა კატეგორიის არჩევა, იდეისთვის სასურველი სახელის მითითება და იდეის აღწერა. დარეგისტრირებული იდეა პირველ ეტაპზე განიხილება ვებგვერდის ადმინისტრაციის მიერ, წარდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ დროს ხდება იდეის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ხარვეზის აღმოჩენის დროს, იდეის ავტორს ეძლევა 15 კალენდარული დღე ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, იდეა არ გავა ხმის მიცემის ეტაპზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იდეამ ხმის მიცემის პერიოდში, რომელიც 60 კალენდარულ დღეს მოიცავს, უნდა მოაგროვოს 2500 ხმა. საჭირო რაოდენობის ხმების მოგროვების შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში ქალაქის მერი იღებს გადაწყვეტილებას იდეის განხილვის გაგრძელების, ან იდეის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე. თუ მიღებული იქნა გადაწყვეტილება იდეის შემდგომი განხილვის თაობაზე, 60 კალენდარული დღის განმავლობაში მერი, შესაბამის

სტრუქტურულ ერთეულებთან, ტერიტორიულ ორგანოებთან და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან ერთად განიხილავს იდეის განხორციელების შესაძლებლობას. განხილვის შედეგები ეცნობება იდეის ავტორს და მიუმაგრდება იდეას საჯარო გვერდზე.

ვებგვერდის პრეზენტაცია გაიმართა 2018 წლის 12 თებერვალს, რის შემდეგაც ამოქმედდა ვებპორალი. ვებპორტალზე თითოეულ კატეგორიაში უკვე იძებნება სხვადასხვა იდეები.

ვებპორტალზე, ასევე იძებნება შეთანხმებული იდეები, აქედან ერთ-ერთი ნარჩენების მართვის კატეგორიიდანაა და მდგომარეობს „ბოთლიყლაპია აპარატების“ განთავსებაში. იდეას ხმა მისცა 2542-მა მოქალაქემ, შესაბამისად აქვს შეთანხმებულის სტატუსი. ასევე შეთანხმებულის სტატუსი აქვს ისევ ნარჩენების მართვის კატეგორიიდან იდეას - „კულტურა კვებავს ცხოველებს“. იდეა მდგომარეობს ისეთი ქალაქის ისეთი დანადგარებით უზრუნველყოფაში, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება, გამოიმუშავოს საკვები უპატრონო ცხოველებისთვის. დანადგარში ნარჩენების ჩაყრის შემდეგ, მის ქვემოთ ჩამოიყრება ცხოველების საჭმელი და წყალი. იდეა ცხოველების გამოვებასთან ერთად, ქალაქის დასუფთავების ხელშეწყობასაც ემსახურება. იდეას 2823-მა მოქალაქებს მისცა ხმა და მერიამ უკვე დაიწყო პროექტის განსახორციელებლად მუშაობა (ხავთასი, 2018).

ორივე იდეას გააჩნია შეთანხმებულის სტატუსი, თუმცა ჯერ-ჯერობით რეალობაში არცერთი პროექტია დანერგილი. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის, რთული სათქმელია რამდენად გამართულად მუშაობს იდეების ელექტრონული პორტალი.

ვებგვერდზე ასევე იძებნება არშემდგარი და დაბლოკიდი იდეები. ერთ შემთხვევაში იდეამ ვერ დააგროვა 2500 ხმა, მეორე შემთხვევაში კი იდეა ვერ გადავიდა ხმის მიცემის ეტაპზე ხარვეზების აღმოჩენის გამო.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ პორტალთან დაკავშირებით ვლინდება ხარვეზი, რის გამოც ადამიანები საკუთარ იდეას ატვირთვას ვერ ახერხებენ- „სამი სათი

ვიწვალე და ჩემი იდეა ფიზიკურად ვერ ავტვირთე, აქედან გამოსავალი ის იყო რომ უნდა წავსულიყავი მერიაში და რიგში დავმდგარიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე“ (აბულაშვილი, 2018).

გონიერი ქალაქის ეს ინსტრუმენტი შეესაბამება შერი არნშტეინის სამოქალაქო კიბის საფეხურს - დამშვიდებას, რომელიც სიმბოლური მონაწილეობის საფეხურს ასახავს. რეალობაში ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საინტზე განთავსებული იდეის განხორციელების მაგალითები. ამასთანავე, გამოვლინდა, რომ ადამიანებს იდეის ელექტრონულად განთავსებისას აქვთ სირთულეები, რის აღმოსაფხვრელადაც სჭირდებათ დამატებითი ძალისხმევის გაწევა, მერიაში წასვლისა და რიგში დგომის სახით, რაც ეწინააღმდეგება გონიერი ქალაქის ინსტრუმენტის იდეას.

რაც შეეხება ამსტერდამს, ამსტერდამში წარმატებით ფუნქციონირებს ვებგვერდი - „ამსტერდამი გონიერი ქალაქი“, რომელშიც თავმოყრილია ქალაქში არსებული ყველა გონიერი ქალაქის ინსტრუმენტი. გარდა იმისა, რომ ვებგვერდი იძლევა არსებული პროექტების ნახვის შესაძლებლობას, ადამიანებს ასევე შეუძლიათ პროექტების განთავსება. პროექტები ხელს უნდა უწყობდეს გონიერი ქალაქის განვითარების იდეას და დაკავშირებული უნდა იყოს ვებგვერდზე განთავსებულ ექვს სფეროსთან, ესენია: ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია; ენერგია, წყალი და ნარჩენები; მობილობა; ცირკულარული ქალაქი; ხელისუფლება და განათლება; მოქალაქეები და ცხოვრება.

ამავე ვებგვერდზე მოქალაქეებს შეუძლიათ ნახონ თუ როგორ თანამშრომლობენ დაინტერესებული მხარეები ერთმანეთთან და როგორ იღებენ ურბანული გამოწვევების ინოვაციურ გადაწყვეტილებებს. დაინტერესებულ მხარეებში შედიან ხელისუფლებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ფირმები, მოქალაქეები და სხვა.

ვებგვერდზე დარეგისტრირების შემდეგ შესაძლებელია პროექტის განთავსება, თუმცა ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა სთავაზობდეს ურბანული გამოწვევების გადაწყვეტის საშუალებებს;

- პროექტის ფარგლებში უნდა თანამშრომლობდეს ორზე მეტი ადამიანი (თუ ასე არაა, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი პროექტი გამოაქვეყნონ გონივრლი გადაწყვეტილებების გვერდზე - www.smartsol.nl);
- შესაძლებელი უნდა იყოს პროექტის ჰოლანდიისა თუ მსოფლიოს სხვა ქალაქებში დანერგვა.

პროექტის განთავსებისას აუცილებელია პროექტის სახელის მითითება, აღწერა, ექვსი სფეროდან ერთ-ერთი სფეროს მონიშვნა და საკონტაქტო ინფორმაციის დამატება. ასევე აუცილებელია, რომ პროექტის დამატებისას პასუხები გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა არის პროექტის მიზანი (რომელი ურბანული საკითხის გადაწყვეტა ხდება პროექტის საშუალებით)?
- რა არის პროექტის შედეგი (რა იქნება შედეგი და როგორ მიიღებს სარგებელს ქალაქი პროექტის მეშვეობით)?
- რომელი ოგანიზაციები და დაინტერესებული მხარეები არიან ჩართულები პროექტის განხორციელებაში?
- რა არის შემდეგი ნაბიჯი?
- სხვა ქალაქებს რისი სწავლა შეუძლიათ კონკრეტული პროექტით?

ბოლოს კი შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მითითება და შენახვა.

„ამსტერდამი გონიერი ქალაქი“ წარმოადგენს ინოვაციურ პლატფორმას მომავლის ქალაქისთვის. პორტალში ჩართულია ბიზნესის, მუნიციპალიტეტების, ინსტიტუტების წარმომადგენლები და მოქალაქეები ინოვაციური იდეების შემოსათავაზებლად და ურბანული საკითხების გადასაწყვეტად. ვებგვერდის მეშვეობით ადამიანები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ამსტერდამსა და სხვა ქალაქებში არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. თანამშრომლობით შესაძლებელია ამსტერდამისათვის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, ახალი ბაზრების განვითარება და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობა. ისინი აქტიურად მუშაობენ ექვსი მიმართულებით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან ინოვციური პროექტები განსახორციელებლად. ვებგვერდზე დარეგისტრირებულია 500-ზე მეტი

ორგანიზაცია, 5000-ზე მეტი ადამიანი კი გაწვრიანებულია ვებპორტალზე, ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროექტების განთავსებასა და მხარდაჭერაში. ვებგვერდს ასევე ჰყავს პარტნიორები, რომლებიც არიან საგანმანათლებლო დაწესებულების, ბიზნესის, სახელმწიფოს წარმომადგენლები - ამსტერდამის ეკონომიკური საბჭო, ენერგო ქსელი ალიანდერი, ამსტერდამის სპორტული არენა, ამსტერდამის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქალაქ ამსტერდამის მუნიციპალური მთავრობა და სხვა. პარტნიორებს საკუთარ თავზე აქვთ აღებული ურბანულ განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების დაფინანსება და მენეჯმენტი.

ვებგვერდი მუშაობს ძალიან აქტიურად, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული სიახლეების, პროექტების სიხშირესა და ასევე, ჩემს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევაში. გონიერი ქალაქის ინსტრუმენტებით დაინტერესების შემდეგ დავუკავშირდი ვებგვერდის ადმინისტრაციას. დაკავშირებას ამარტივებს ვებგვერდის ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლება არა მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეკონტაქტო მათ, არამედ ონლაინ რეჟიმში მიიღო ინფორმაცია გონიერ ქალაქთან აკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. დაკონტაქტების ორივე საშუალების კვლევისას დადგინდა, რომ სამუშაო საათებში, ონლაინ რეჟიმში მათთან კომუნიკაციის დამყარება შესაძლებელია 10-15 წუთის განმავლობაში, რაც შეეხება კომუნიკაციის დამყარებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შესაძლებელია - რამოდენიმე საათის განმავლობაში. ელექტრონული ფოსტით პირველი კომუნიკაცია ვებგვერდის ადმინისტრაციასთან, კერძოდ ნენსისთან, შედგა 2017 წლის 22 ივლისს. აღსანიშნავია, რომ ჩემი მხრიდან გონიერი ქალაქის ინტრუმენტებით (იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც იძლევიან მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობებს) დაინტერესების გამოხატვის შემდეგ, დღემდე მუდმივად ვიღებ ამ მიმართულებით არსებულ ახალ ინფორმაციებს.

გონიერი ქალაქის ეს ინსტრუმენტი შეესაბამება შერი არნშტეინის სამოქალაქო კიბის საფეხურს - პარტნიორობას, რომელიც მოქალაქეთა ძალაუფლების დონეს ასახავს. ვებგვერდი უპირველესად წარმოადგენს გონიერი ქალაქის შესახებ ინფორმაციის

განთავსების საშუალებას და ემსახურება ადამიანებში ცნობიერების ამაღლებას, რასთან ერთადაც ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას, რაც გამოიხატება საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებისა და სასურველი იდეის განთავსების შესაძლებლობაში. როგორც აღინიშნა პლატფორმის პარტნიორებს საკუთარ თავზე აქვთ აღებული ურბანულ განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების დაფინანსება და მენეჯმენტი.

4.2 პეტიციების პორტალი თბილისსა და ამსტერდამში

2017 წლის 22 დეკემბერს თბილისში პეტიციების პორტალი ამოქმედდა (www.ichange.gov.ge). პორტალი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერაა შექმნილი ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის N557 დამტკიცდა. პორტალი წარმოაგენს მოქალაქეთა ელექტრონული პეტიციების ოფიციალურ სამთავრობო პლატფორმას.

პეტიციების პლატფორმის მიზანია საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭირვალობის უზრუნველყოფა, საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების ურთიერთდაახლოების გაადვილება (ichange.gov.ge-ის შესახებ).

2017 წლის 18 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო N245 დადგენილება, ელექტრონული პეტიციების წარსადგენად ელექტრონული პორტალის (ichange.gov.ge) შექმნისა და ამ პორტალით სარგებლობის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ. დადგენილების მეოთხე მუხლის მიხედვით, საქართველოს მთავრობის წინაშე ელექტრონული პეტიციის ინიცირებისა და ელექტრონულ პეტიციაზე ხელის მოწერის უფლება აქვს საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს. პეტიციის ინიცირებისათვის ან ხელმოსაწერად მოქალაქე უნდა დარეგისტრირდეს პორტალზე,

რისთვისაც საჭიროა პირადი ინფორმაციის მითითება და პორტალის წესებსა და პირობებზე დათანხმება (საქართველოს მთავრობის დადგენილება N245, 2017).

დადგენილების მეოთხე მუხლის თანახმად, პეტიციის პორტალზე გამოქვეყნებისა და მიღებისთვის ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პეტიციის თემატიკა უნდა შედიოდეს საქართველოს მთვრობის მთავრობის კომპეტენციაში;
- გარკვევით და ნათლად უნდა გადმოსცემდეს მოსაზრებას, იდეას/შემოთავაზებას;
- არ უნდა იყოს პოლიტიკური, პროპაგანდის, კომერციული შინაარსის შემცველი;
- არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ, უხამს, გამომწვევი შინაარსის განაცხადებს, ასევე არ უნდა იყოს ხუმრობის მიზნით ინიციირებული;
- არ უნდა იყოს სიძულვილის, დისკრიმინაციის, ძალადობის საფრთხის, ინდივიდის ან რომელიმე ჯგუფისთვის ზიანის მომტანი მოწოდებების შემცველი;
- არ უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ან ისეთი მოწოდების შემცველი, როგორიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, ასევე არ უნდა აღვივებდეს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის დაუმორჩილებლობის მოწოდებების შემცველი;
- არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების ინტერესებს, პერსონალურ გარემოებას ან საკითხს;
- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დადგენილებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N245, 2017)

ელექტრონული პეტიციის განსახილველად და ოფიციალური პასუხის მისაღებად საჭიროა, 30 კალენდარული დღის ვადაში, ელექტრონულ პეტიციას მხარი დაუჭიროს არანაკლებ 10 000-მა მომხმარებელმა. საქართველოს მთავრობა კი წესებისა და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში წარმოდგენილ ელექტრონულ პეტიციას, განიხილავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შექმნილი ელექტრონული პეტიციის ექსპერტების კომისიის მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის ვალდებულება, ამ წესისა და პირობების შესაბამისად, წარმოდგენილ ელექტრონულ პეტიციასთან მიმართებით ამოიწურება მისი ამ მუხლით დადგენილი წესით განხილვისა და ichange-ის მოდერატორის მიერ ოფიციალური პასუხის ichange-ის პორტალზე გამოქვეყნების ვალდებულებით. პეტიციაზე მომზადებული პასუხი კი პორტალზე უნდა განთავსდეს 3 კალენდარული თვის ვადაში.

პეტიციები შეიძლება იყოს სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებული, ესენია: რეგიონალური განვითარება, მეცნიერება, სოციალური საკითხები, განათლება, ენერგეტიკა, საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, ფინანსები, ეკონომიკა, სპორტი, ინოვაციები, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, კულტურა. ამ ეტაპზე ყველაზე მეტი პეტიცია ფიქსირდება სოციალური საკითხების სფეროში (19.1%), რასაც მოჰყვება რეგიონალური განვითარების სფერო (14.2%) და ეკონომიკა (11.3%). ყველაზე ნაკლები პეტიცია კი გვხვდება ენერგეტიკის (2%), მეცნიერებისა (2.2%) და საგარეო პოლიტიკის (3.3%)სფეროებში (იხ.დანართი N2) (ichange.gov.ge, 2018).

ვებგვერდზე უკვე განთავსებულია პეტიციები სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ დღემდე ვერც აქტიური და ვერც დასრულებული პეტიციებიდან, ვერცერთმა მოახერხა 10 000 ხელმოწერის მოგროვება, შესაბამისად ჯერ-ჯერობით არ გვაქვს პეტიციების საქართველოს მთავრობის მიერ განხილვის პრაქტიკები (იხ. დანართი N3 და N4) (ichange.gov.ge, 2018). მეტიც დაარქივებული პეტციების უმრავლესობის ხელმოწერები შეადგენს 20-30-ს, დაარქივებული პეტიციებიდან ყველაზე მეტი ხელმოწერის რაოდენობა ერთ პეტიციაზე კი შეადგენს -120-ს.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) მიიჩნევს, რომ პეტიციისთვის 30 კალენდარული დღე მინიმუმ 10,000 ხელმოწერის შესაგროვებლად საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა (IDFI-ის მიერ შეთავაზებული იყო 5,000 ხელმოწერის მინიმალური ზღვარი). გასათვალისწინებელია, რომ დღეისათვის საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 48%-ისთვის არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი. ასევე, დაბალია ციფრული წიგნიერების დონე. გარდა ამისა, ელექტრონული დემოკრატიის პრინციპები ახლა ინერგება ქვეყანაში და მოსახლეობის მიერ ელექტრონული სერვისების გამოყენების წილი არც თუ ისე მაღალია (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

პლატფორმის ამოქმედებიდან დღემდე უკვე არსებობს პეტიცის განთავსებაზე უარყოფის შემთხვევები. სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ დღემდე 5 მიზეზის გამო მოხდა სხვადასხვა პეტიციების უარყოფა, ესენია: ჩამოუყალიბებელი ან სახუმარო პეტიცია, სცდება საქართველოს მთავრობის კომპეტენციას, ითვალისწინებს მხოლოდ ერთი ადამიანის ინტერესებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით უარყოფის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს პეტიციებს, რომლებიც სცდება საქართველოს მთავრობის კომპეტენციას (53.8%), რასაც მოჰყვება დუბლირებული პეტიციები (24.2%). აქედან გამომდინარე კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა პრობლემა, რომელიც მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობის ხარისხს უკავშირდება (იხ. დანართი N5). (ichange.gov.ge, 2018)

ელექტრონული პეტიციების პორტალი, როგორც გონიერი ქალაქის ერთ-ერთი ინსტრუმენტი შეესაბამება შერი არნშტეინის სამოქალაქო კიბის საფეხურს - კონსულტირებას, რომელის ასახავს სიმბოლური მონაწილეობის დონეს. ამ შემთხვევაში თბილისის მერიას შექმნილი აქვს ელექტრონული პეტიციების პორტალი, თუმცა არ ინტერესდება იმით, თუ რატომ არ აქვს დაგროვებული ხელმოწერების საჭირო რაოდენობა რომელიმე პეტიციას (განთავსებული პეტიციებიდან დაროვებული ხელმოწერების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 120-ს)

ichange-ის გარდა იდევ არსებობს სხვა ელექტრონული პეტიციების პორტალი - www.manifest.ge, სადაც საჭიროა 1000 ხელმოწერის დაგროვება, თუმცა მას არანაირი ძალა არ გააჩნია და საჭირო ხელმოწერების რაოდენობის შეგროვების მიუხედავად საქართველოს მთავრობას შეუძლია არ განიხილოს კონკრეტული პეტიცია, შედაბამისად ის უფრო დაბალი დონის თანამონაწილეობის შესაძლებლობებს იძლევა.

ამსტერდამს თბილისისგან განსხვავებით არ გააჩნია პეტიციების ელექტრონული პორტალი, ისინი პეტიციებს ელექტრონული სახით აქვეყნებენ მსოფლიო პლატფორმებზე, ეს პლატფორმებია: www.change.org, www.thepetitionsite.com და www.gopetition.com. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევისას თბილისში გამოვლინდა გონიერი ქალაქის ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც ამსტერდამს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გონიერ ქალაქს არ გააჩნია.

4.3 ბიუჯეტის მონიტორინგი და დაგეგმვა თბილისსა და ამსტერდამში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, დაგეგმონ თბილისის ბიუჯეტი, რისთვისაც საჭიროა დაბადების წელისა და პირადი ნომრის დაფიქსირება. რესპონდენტების მიერ, პრიორიტეტების მიხედვით დალაგებულ სფეროებში პირველ ადგილზე ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესებაა (84%), რასაც მოჰყვება განათლების სფერო (74%) და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (61%) (დაგეგმე თბილისის ბიუჯეტი, 2018). თუმცა აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მაისიდან დღემდე, არ იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბიუჯეტის დაგეგმვაში - ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა შეადგენს 118-ს. რაც გამოწვეულია იმით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ეს სერვისი არ მუშაობს - პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის დაფიქსირების, პრიორიტეტების მიხედვით სფეროების დალაგებისა და კომენტარის დართვის შემდეგ, შეუძლებელია შევსებული ინფორმაციის დადასტურება და გადაგზავნა.

დაგეგმე ბიუჯეტი შეესაბამება მანიპულირების საფეხურს, რომელიც არამონაწილეობის დონეს ასახავს. მოქალაქეებს არ შეუძლიათ პრიორიტეტების მიხედვით სხვადასხვა სფეროების დალაგება, რაც გამოწვეულია სერვისის გაუმართავი მუშაობით.

ამ შემთხვევაშიც საინტერესოა, რატომ არ ინტერესდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, როდესაც ხედავს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაფიქსირებული ხმების რაოდენობა არ იზრდება.

მეტად საინტერესოა ბიუჯეტის მონიტორინგის ვებგვერდი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიტიკურ პორტალს. შესაბამისად ის არის არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი საქართველოს ელექტრონული პორტალი. ვებგვერდის მეშვეობით მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების, ბიუჯეტის შემოსავლების ბიუჯეტის ათვისების, ადმინისრაციული ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვების, ეროვნული მაჩვენებლების, სახელმწიფო ვალის, კაპიტალური პროექტების, სარეზერვო ფონდებისა და პროგრამული ბიუჯეტირების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის მონიტორის ვებგვერდზე მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ნახოს კონკრეტული მინიციპალიტეტის ბიუჯეტი, ტრანსფერები, ადმინისტრაციული ხარჯები.

ბიუჯეტის მონიტორინგის ვებგვერდზე ასევე გამოყოფილია მოქალაქის გვერდი, სადაც შემოთავაზებულია სამი სერვისი, ესენია:

- დაგეგმე ჩვენთან ერთად - მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ადმინისტრაციას მიაწოდოს მოსაზრებები საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებული ხარვეზების შესახებ და მიიღოს მონაწილეობა აუდიტის წლიური გეგმის შედგენაში;

- ებრძოლე კორუფციას - მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ადმინისტრაციას გაუზიაროს ინფორმაცია საჯარო ფინანსების სფეროში არსებული კორუფციული რისკების შესახებ და ხელი შეუწყოს მათ აღმოფხვრას;
- ხმა მიეცი პრიორიტეტს - მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს შესამოწმებელი სფეროების პრიორიტეტების განსაზღვრაში. (ბიუჯეტის მონიტორი, 2018)

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიტიკური პორტალის მიერ მოქალაქეებისთვის შემოთავაზებული სერვისები, შერი არნშტეინის სამოქალაქო მონაწილეობის ტიპოლოგიიდან კონსულტირებას შეესაბამება. რადგან ამ დროს მოქალაქეებს უბრალოდ შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ და ასევე მოსმენილ იყვნენ, მაგრამ მათ არ გააჩნიათ უფლებამოსილება, რომელიც ძალაუფლების მქონეთაგან მათი აზრის გათვალისწინების გარანტიას ქმნის. ასევე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს არ აქვთ საშუალება ინფორმაცია მიიღონ ყველა მიმართულებით გახარჯულ თანხებზე. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არ იძებნება შეძლენილი ავტომობილების, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის, საწვავის ხარჯების შესახებ. ვებგვერდზე მითითებულია, რომ ამ ხარჯების შესახებ ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული.

ამსტერდამში ასევე არსებობს ბიუჯეტის მონიტორინგის ინტრუმენტი, რომელიც თბილისის მსგავსად ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა.

საბიუჯეტო მონიტორინგისა და მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი 2011 წლის დეკემბერში დაფუძნებული ჰოლანდიური ორგანიზაციაა. ორგანიზაციის მეშვეობით ერთმანეთთან თანამშრომლობენ აქტიური მოქალაქეები, სოციალური მუშაკები და ბიუჯეტის სფეროში ექსპერტები ჰოლანდიიდან და ბრაზილიიდან. ბრაზილიასთან თანამშრომლობა განპირობებულია იმით, რომ ბრაზილია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა (Open Government Partnership, 2017). ცენტრი ახორციელებს ისეთი სახის საბიუჯეტო მონიტორინგს, რომელიც მოქალაქეებს ფინანსურ ინფორმაციაზე წვდომასთან ერთად,

საშუალებას მისცემს უშუალოდ ჩაერთონ ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგსა და საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში. ცენტრის მთავარ მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და სოციალური მონაწილეობის გაზრდა.

2012 წელს ამსტერდამის ერთ-ერთ უბანში (Indische Buurt) ბიუჯეტის მონიტორინგის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა. უბანში დასახლებული ადამიანები მიზნად ისახავდნენ საკუთარი სამეზობლოს მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მონაწილეობითი ინსტრუმენტების განვითარებას. ბიუჯეტის მონიტორინგის ეს ინსტუმენტი წარმატებით განხორციელდა აქტიური ჯგუფების თანამშრომლობის შედეგად. საორგანიზაციო საკითხებში ჩართული ადამიანები აღნიშნავდნენ, რომ უბანში მიღწეული წარმატება გამოწვეული იყო სოციალური მოძრაობის ღრმა ფესვებითა და მოქალაქეების მოტივაციით (Open Government Partnership, 2013).

ბუჯეტის მონიტორინგის ექსპერიმენტის დასაწყებად საჭირო იყო სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ინდის სამეზობლოსთან გამართული დისკუსიების შედეგად, ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტმა შექმნა. სამოქმედო გეგმაში აქცენტი გაკეთებული იყო სოციალური სამართლიანობისა და სამოქალაქო მონაწილეობის შესახებ. სამოქმედო გეგმა მოიცავდა ყველა იმ ნაბიჯს, რომელიც გადაიდგა ექსპერიმენტის განხორციელების დროს.

თავდაპირველად პროგრამის ხელმძღვანელები ცდილობდნენ ბიუჯეტის ლოკალიზებას, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ნიდერლანდებში იმ პერიოდისთვის ინფორმაცია არ იყო გამჭირვალე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მოიპოვეს ანგარიშები, ბიუჯეტები და ფინანსური დოკუმენტები, ისინი ახალი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო ათასობით გვერდისგან შემდგარ, ჟარგონებით სავსე დოკუმენტში, რომლის გაგებაც შეუძლებელი იყო მოქალაქეებისთვის.

მოგვიანებით, ორგანიზატორებმა შექმნეს 2009, 2010, 2011 წლის ბიუჯეტების შესახებ ბაზა, რომელიც შეიცავდა ამსტერდამის ქალაქებში განხორციელებულ იმ პროექტებს, სადაც აქცენტი სამეზობლოებზე იყო გაკეთებული.

პროგრამის შემდეგ ეტაპს წარმოადგენდა მონაცემთა ბაზის გაანალიზება, მაგრამ ორგანიზატორები ვერ პოულობდნენ რაში იხარჯებოდა სამეზობლოს ბიუჯეტის მთელი ნაწილი. კიდევ ერთ პრობლემად იქცა საჯარო მოსამსახურეებთან ურთიერთობა, რომლებიც აცხადებნენ, რომ არ ფლობდნენ ინფორმაციას ბუჯეტის დიდი ნაწილის გახარჯვის შესახებ.

არსებულ სირთულეებს მოჰყვა ტრენინგების ჩატარება ბიუჯეტის ციკლის, წლიური ანგარიშის, წლიური ბიუჯეტის, სამეზობლო პოლიტიკისა და პოლიტიკაზე ზეგავლენის სტრატეგიების შესახებ. ამავდროულად ადგილობრივმა რაიონმა პარალელურად დაიწყო კვლევა, რომელსაც ორგანიზატორებს აწვდიდნენ. 2011 წელს მათ მოიპოვეს წლიური ანგარიშის მოკლე ვერცია, რას იმ დროისათვის ინოვაციას წარმოადგენდა - ინფორმაცია გამოსახული იყო გრაფიკის სახით, რომელიც PDF ფაილებთან შედარებით მარტივად აღიქმებოდა.

მოგვიანებით დღის წესრიგში დადგა სამეზობლოს პრიორიტეტები. ორგანიზატორები დაინტერესდნენ იმით, თუ რა სურდათ სამეზობლოში მცხოვრებ ადამიანებს, რის დასადგენადაც ჩატარდა კვლევა. მოქალაქეები იმდენად ჩართულები იყვნენ ბიუჯეტის მონიტორინგში, რომ გადაწყვიტეს პერსპექტიული დოკუმენტის შედგენა გრძელვადიანი პოლიტიკით, რისთვისაც ჯგუფი გაეცნო ადგილობრივი ოლქის ბიუჯეტს და გამოიყენა ფინანსური მონაცემები. საპილოტე პროგრამა 2012 წელს დასრულდა, მოქალაქეებმა წარმატებით განახორციელეს ბიუჯეტის მონიტორინგი და ასევე წარმატებით ჩაერთვნენ ბიუჯეტის შედგენაში.

სამეზობლო ბიუჯეტის ინსტრუმენტი თავდაპირველად მხოლოდ ინდის სამეზობლოსთვის (Indische Buurt) შეიქმნა, მოგვიანებით ამსტერდამის მუნიციპალიტეტი დაინტერესდა სამეზობლო ბიუჯეტის ინსტრუმენტის გაფართოებით,

მაგრამ ეს გეგმა 2014 წელს არსებული სხვადასხვა პრობლემების გამო გადაიდო (Flor Avelino, Sarah Rach & Jesse Renema, Julia Wittmayer, 2016).

დღესდღეობით წარმატებით მუშაობს ბიუჯეტის მონიტორინგის ვებგვერდი (http://budgetmonitoring.nl), რომელიც ხელს უწყობს დიალოგის წარმოებას მოქალაქეებსა და მთავრობას შორის, რის ფარგლებშიც ისინი ერთმანეთში ცვლიან საკუთარ შეხედულებებს პრიორიტეტებისა და მოქალაქეთა საჭიროებების შესახებ. ბიუჯეტის კოორდინაციის ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს სოციალურ-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტთან და ბიუჯეტის მონიტორინგის ბრაზილიელ ექსპერტებთან. ცენტრის საქმიანობა მოიცავს კვლევების ჩატარებას, ბიუჯეტის მონიტორინგის შესახებ კონფერენციების, კონსულტაციების და სიმპოზიუმების ორგანიზებას.

ამსტერდამში არსებული ბიუჯეტის მონიტორინგის ეს ინსტრუმენტი, შერი არნშტეინის სამოქალაქო მონაწილეობის ტიპოლოგიიდან კონსულტირებას შეესაბამება. რადგან თბილისის მსგავსად ამ დროსაც არ გააჩნიათ მოქალაქეებს მათი აზრის გათვალისწინების გარანტია.

დასკვნა

თბილისში ისევე, როგორც ამსტერდამში კანონმდებლობის დონეზე აღიარებულია მოქალაქეების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება თანამონაწილეობის შესახებ. ურბანულ სფეროში არსებული კანონმდებლობიდან ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს, საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ, რომლის მე-7 მუხლის მიხედვით, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს დაგეგმვის დოკუმენტების მიზნების ფორმირების, შემუშავების, განხილვისა და შეთანხმების პროცესში ორგანიზებულ საჯარო განხილვებში (საქართველოს პარლამენტი, 2005); აღნიშნული კანონის გარდა, მერების შეთანხმება თბილისს ასევე ავალდებულებს, რომ ხელი შეუწყოს მოქალაქეების ჩართულობას (აბულაშვილი, მერების შეთანხმება, 2014).

გარდა ამისა, თბილისში არსებობს გონიერი ქალაქის ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც თეორიულად ჩართულობის შესაძლებლობებს უნდა იძლეოდეს, თუმცა პრაქტიკაში არსებული სიტუაცია განსხვავებულია. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გვერდის სერვისის („დაგეგმე ბიუჯეტი“) შესწავლისას, დადგინდა, რომ არ მუშაობს - პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის დაფიქსირების, პრიორიტეტების მიხედვით სფეროების დალაგებისა და კომენტარის დართვის შემდეგ, შეუძლებელია შევსებული ინფორმაციის დადასტურება და გადაგზავნა. სწორედ ამიტომ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიღებული აქვს მხოლოდ 118 ადამიანს. იგივე პრაქტიკა შეინიშნება იდეების ელექტორნული პორტალის შემთხვევაში - „სამი სათი ვიწვალე და ჩემი იდეა ფიზიკურად ვერ ავტვირთე, აქედან გამოსავალი ის იყო რომ უნდა წავსულიყავი მერიაში და რიგში დავმდგარიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე“ (აბულაშვილი, 2018).

„როცა გონიერი ქალაქის ინსრუმენტები ინერგება, რომელიც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ნამდვილად არალოგიკური იქნება, ეს თანხები გაწიოს ხელისუფლებამ და მერე მიღებული შედეგები არ გამოიყენოს, ამსტერდამში

მოჩვენებით რაღაცის კეთება არ არის „მოდაში“, რისი თქმაც თბილისზე ნამდვილად გაგვიჭირდება“ (ხუციშვილი, 2017).

ასევე გამოვლინდა, რომ თბილისში, ამსტერდამისგან განსხვავებით თავად მოქალაქეებიც პასიურობენ. რაც დიდწილად გამოწვეულია თბილისისა და ამსტერდამის მოქალაქეებს შორის არსებული სოციალური თუ კულტურული განსხვავებებით. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ მიზეზსს წარმოადგენს შემდეგი - თბილისს ამსტერდამისგან განსხვავებით გააჩნია ელექტრონული პეტიციების პლატფორმა, სადაც ხელმოწერების რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20-30 და არ აღემატება 120-ს, მაშინ როდესაც პეტიციას სჭირდება 10 000 ხმა იმისათვის, რომ განსახილველად საქართველოს მთავრობას გადაეცეს. ამსტერდამში არ არსებობს ელექტრონული პეტიციების პორტალი, თუმცა არაელექტრონული სახით ახერხებენ სასურველი ხელმოწერების რაოდენობის შეგროვებას. აქედან გამომდინარე თბილისში ვლინდება ინფორმირებულობისა და მობილიზების პრობლემა. ასევე, ვლინდება, თბილისში მცხოვრები ადამიანების ცოდნის დაბალი დონე - ისინი მთავობისგან ითხოვენ ისეთი საკითხების გადაწყვეტას ელექტრონული პეტიციების საშუალებით, რაც მთავრობის კომპეტენციებში არ შედის (პეტიციების 50%-ზე მეტი უარყოფილი იყო ამ მიზეზით).

ურბანისტი და არქიტექტორი ვლადიმერ ვარდოსანიძე აღნიშნავს - „ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით, თბილისში მეტი წარმატება გვაქვს, ვიდრე სოციალურში. მართლაც არ არსებობს ორი აზრი, რომ ტექნიკურ სფეროში ბევრი წინ გადადგმული ნაბიჯია, რაც მოიტანა ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, სმარტფონებმა და თბილისზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ „ჩამორჩენილი“ ქალაქია. თბილისში პრობლემას წარმოადგენს ადამიანის არსებობა,რომლიც ბუნებით ქალაქელია და ესმის ქალაქის ენა. ამის დაძლევა გვიჭირს, მაგრამ მოდის თაობა, რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს“ (ვარდოსანიძე, 2018).

ვარდოსანიძე მარგინალურს უწოდებს საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს დასავლურ ურბანისტიკაში გავრცელებული ტერმინი „ნიმბიზმი“ (Not in my backyard), ანუ პრინციპი – „მე ნუ შემეხება და კისერი უტეხია ყველას“

„თბილისსა და ამსტერდამს შორის უმთავრეს განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ თბილისში არ არსებობს გონიერი ქალაქის სისტემა. კონკრეტული გადაწყვეტილებები შეიძლება მივაწეროთ გონიერი ქალაქს, ერთჯერადად გამოყენებული ინსტრუმენტი არსებობს, მაგრამ არ აარსებობს ეს ინსტრუმენტები სისტემურად“ (აბულაშვილი, 2018).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კვლევა ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის, ტრანსპორტის სამსახურისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო თანამშრომლებთან ინტერვიუების ჩატარებას. რაც არ შედგა, თანამშრომლების მხრიდან ინტერვიუზე უარის თქმის გამო. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტმა, სალომე სანაიამ ინტერვიუზე უარი შემდეგი მიზეზით განაცხადა – „თუ არ შუქდება ინტერვიუ ტელევიზიაში, დეპარტამენტის უფროსსა და თანამშრომლებს ვერ შევაწუხებ“.

„მოქალაქეების შეხედულებებს აქტიურად ითვალისწინებენ ამსტერდამსა და სხვა ევროპულ ქალაქებში, იმიტომ რომ ამ დროს ქალაქის ხელმძღვანელობა და მოქალაქეები აცნობიერებენ, რომ ქალაქზე პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ხელმძღვანელი პირების ვალდებულება, ეს არის თითოეული მოქალაქის უფლება და მოვალეობა“ (ხუციშვილი, 2017). თბილისში ჯერ-ჯერობით არ არსებობს იმის გააზრება, რომ ქალაქი ეკუთვნის ყველას და არა რომელიმე მმართველ ჯგუფს.

ამრიგად, კვლევის დასაწყისში დასმულ კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად იძლევა გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები შერი არნშტეინის მოდელის მიხედვით მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობებს თბილისსა და ამსტერდამში, პასუხი გაეცა და დადგინდა, რომ გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები იძლევა არამონაწილეობის,

სიმბოლური მონაწილეობისა და მოქალაქეთა ძალაუფლების დონის შესაძლებლობებს. თუმცა თბილისში ამსტერდამისგან განსხვავებით მონაწილობის ხარისხის დონე გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გამოყენებით დაბალია. ასევე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნაშრომის თეორიული ჩარჩო, ქსელური მმართველობის შესახებ წარმატებით გამოიყენება ამსტერდამის პრაქტიკაში, რასაც ვერ ვიტყვით თბილისზე, რადგან თბილისში ქსელური მმართველობა ძირითადად თეორიულ დონეზე არსებობს. აქედან გამომდინარე დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ამსტერდამისა და თბილისის განსხვავებული ურბანული განვითარების დონის გამო, ამსტერდამში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები მოქალაქეთა თანამონაწილეობის უფრო მაღალი ხარისხის შესაძლებლობებს იძლევა ვიდრე თბილისში.

ბიბლიოგრაფია

Nam, Pardo. (2011). *Conceptualizing Smart City with Dimensions of Technology, People, and Institutions.* The Proceedings of the 12th Annual International Conference on Digital Government Research. U.S: University at Albany, State University of New York.

World Health Organization. (2016). *World health statistics* . Retrieved 2018 წლის 11 07 from file:///C:/Users/ACER/Downloads/9789241565264_eng.pdf

საქართველოს პარლამენტი. (2005 წლის 02 06). *საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ*. Retrieved 2018 წლის 12 07 from https://matsne.gov.ge/ka/document/view/29614

Alawadhi, Mellouli, Gil-Garcia, Nam. (2012). *Understanding Smart Cities: An Integrative Framework*. Retrieved 2018 წლის 13 06 from 45th Hawaii International Conference on System Sciences: file:///C:/Users/ACER/Downloads/hicss_2012_smartcities.pdf

Amsterdam Population. (2018). *world population*. Retrieved 2018 წლის 13 06 from http://worldpopulationreview.com/world-cities/amsterdam-population/

Amsterdam Smart City. (2018). *Citizens & Living*. Retrieved 2018 წლის 13 06 from https://amsterdamsmartcity.com/themes/citizens-living

Amsterdam Smart City. (2018). *Mobility*. Retrieved 2018 წლის 14 06 from https://amsterdamsmartcity.com/themes/mobility

Cain, Dalton, Scarrow. (2006). *Democracy Transformed? Expanding Political Opportunities in Advanced Industrial Democracies*. Retrieved 2018 წლის 13 06 from Oxford: Oxford University Press.: https://cloudfront.escholarship.org/dist/prd/content/qt9tg922hv/qt9tg922hv

Carolyn J. Lukensmeyer, Lars Hasselblad Torres. (2006). *Public Deliberation:A Manager's Guide to Citizen Engagement*. Retrieved 2018 წლის 13 06 from http://ncdd.org/rc/wp-content/uploads/2010/06/Lukensmeyer-PublicDelibManagersGuide1.pdf

Cocchia, A. (2014). *Smart and Digital City: A Systematic Literature Review* . Retrieved 2018 წლის 13 06 from https://pdfs.semanticscholar.org/67a5/4f84ad331815a9a946e61e50bcff8084a755.pdf

Communities, S. C. (2018). *The European Innovation Partnership on Smart Cities and Communities*. Retrieved 2018 წლის 06 07 from http://ec.europa.eu/eip/smartcities/index_en.htm

Dameri, R. P. (2016 წლის 16 09). *Smart City Implementation,* . Retrieved 2018 წლის 13 06 from https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-45766-6_2

Dean, M. (2016 წლის 14 12). *Innovative technologies trigger engaged citizenry: Smart cities are engaging cities*. Retrieved 2018 წლის 07 06 from http://www.bangthetable.com/smart-cities-innovative-technologies-trigger-engaged-citizenry/

EuroDIG. (2018 წლის 01 06). *ევროპული დიალოგი ინტერნეტმმართველობის საკითხებზე.* Retrieved 2018 წლის 13 06 from http://www.economy.ge/?page=news&nw=755

European Commission. (n.d.). *European Innovation Partnerships*. Retrieved 2018 წლის 07 06 from https://ec.europa.eu/research/innovation-union/index.cfm?pg=eip

Flor Avelino, Sarah Rach & Jesse Renema, Julia Wittmayer. (2016 წლის 16 03). *Launch of Neighborhood budget instrument*. Retrieved 2018 წლის 16 06 from http://www.transitsocialinnovation.eu/sii/ctp/launch-of-neighborhood-budget-instrument

Forbes. (2017 წლის 31 05). *The Smartest Cities In The World For 2017*. Retrieved 2018 წლის 16 01 from https://www.forbes.com/sites/iese/2017/05/31/the-smartest-cities-in-the-world-for-2017/#6b5e4045c4c9

Hollands, R. G. (2008 წლის 26 11). *Will the real smart city please stand up?* Retrieved 2018 წლის 13 06 from http://labos.ulg.ac.be/smart-city/wp-content/uploads/sites/12/2017/03/Lecture-MODULE-3-2008-Will-the-real-smart-city-please-stand-up-Hollands.pdf

I amsterdam. (2018). *Amsterdam apps*. Retrieved 2018 წლის 11 07 from https://www.iamsterdam.com/en/plan-your-trip/practical-info/amsterdam-apps

ichange.gov.ge. (2018). *სტატისტიკა.* Retrieved 2018 წლის 13 06 from https://ichange.gov.ge/Home/Stats

IESE Business School . (2016). *IESE Cities in Motion Index*. Retrieved 2018 წლის 13 06 from https://www.iese.edu/research/pdfs/ST-0396-E.pdf

Index, T. D. (2017). *The Digital City is the Real City*. Retrieved 2018 წლის 14 06 from https://www.digitalcityindex.com/digital-city-index-executive-summary.pdf

Kakderi, C. (2017 წლის 07 02). *Inclusive Smart Cities: a European Manifesto on Citizen Engagement*. Retrieved 2018 წლის 11 06 from http://www.urenio.org/2017/02/07/inclusive-smart-cities-european-manifesto-citizen-engagement/

Kijne, G. (2013). *Raising residents enagagement for Amsterdam Smart City: designing a Serious Game.* Delft: TU Delft.

Kocagoz, I. (2017 წლის 20 08). *Does TBILISI Really Loves You?* Retrieved 2018 წლის 13 06 from https://www.linkedin.com/pulse/does-tbilisi-really-loves-you-ibrahim-kocagoz

Meijer, A. (2016 წლის 09). *Smart City Governance: A Local Emergent*. Retrieved 2018 წლის 11 06

Nabatchi, T. (2010). *Addressing the Citizenship and Democratic Deficits:The Potential of Deliberative Democracy for Public Administration*. Retrieved 2018 წლის 13 06 from The American Review of Public Administration: http://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0275074009356467

Nam, Pardo. (2011). *Conceptualizing Smart City with Dimensions of Technology, People, and Institutions.* The Proceedings of the 12th Annual International Conference on Digital Government Research.

Open Government Partnership. (2013 წლის 13 06). *Budget monitoring in an Amsterdam neighborhood*. Retrieved 2018 წლის 16 06 from https://www.opengovpartnership.org/stories/budget-monitoring-amsterdam-neighborhood

Sheedy, A. (2008). *Handbook on Citizen Engagement:Beyond Consultation* . Retrieved 2018 წლის 13 06 from Canadian Policy Research Networks: https://atrium.lib.uoguelph.ca/xmlui/bitstream/handle/10214/3133/Sheedy_Handbook_on_Citizen_Engagement-_Beyond_Consultation_complete.pdf?seque

Smart Cities and Communities. (2017). *The European Innovation Partnership on Smart Cities and Communities*. Retrieved 2018 წლის 07 06 from http://ec.europa.eu/eip/smartcities/index_en.htm

Staffans, Horelli. (2014). *Expanded Urban Planning as a Vehicle for Understanding and Shaping Smart, Liveable Cities*. Retrieved 2018 წლის 12 06 from The journal of Community Informatics: http://ci-journal.net/index.php/ciej/article/view/1171/1110

UNICEF. (2015 წლის 01 05). *როგორია მათი განათლების დონე სქესის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.* Retrieved 2018 წლის 13 06 from https://edu.aris.ge/news/kvleva-axalgazrdebze-rogoria-mati-ganatlebis-done-sqesis-asakis-regionis-mixedvit.html

www.budgetplanning.tbilisi.gov.ge. (2018). *დაგეგმე თბილისის ბიუჯეტი.* Retrieved 2018 წლის 13 06 from http://budgetplanning.tbilisi.gov.ge/

აბულაშვილი, გ. (2014 წლის 18 11). *მერების შეთანხმება.* Retrieved 2018 წლის 12 07 from http://weg.ge/sites/default/files/link-2.-20141118-como-east_abulashvili.pdf

არნშტეინი, შ. (2015 წლის 20 11). *სამოქალაქო მონაწილეობის კიბე.* Retrieved 2018 წლის 18 06 from http://selforgnetwork.blogspot.com/2015/06/blog-post_11.html

ბარამიძე, კ. (2018 წლის 06 06). *ბოთლიყლაპია აპარატები საქართველოში.* Retrieved 2018 წლის 11 06 from https://idea.tbilisi.gov.ge/idea-details/309

ბიუჯეტის მონიტორი. (2018). *სახელმწიფო აუდიტის სამსახური.* Retrieved 2018 წლის 15 06 from https://budgetmonitor.ge/ka/home

გურაბანიძე, ლ. (2017 წლის 12 01). *თბილისში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმი ტარდება.* Retrieved 2018 წლის 16 01 from http://www.commersant.ge/?view=post&id=104771&lang_id=ge

დაგეგმე თბილისის ბიუჯეტი. (2018). *თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.* Retrieved 2018 წლის 15 06 from http://budgetplanning.tbilisi.gov.ge/

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2017 წლის 25 05). *საქართველოში პეტიციების ელექტრონული პორტალი იქმნება.* Retrieved 2018 წლის 13 06 from https://idfi.ge/ge/electronic_petition_system_is_being_created_in_georgia

საქართველოს მთავრობის დადგენილება N245. (2017 წლის 18 05). *ელექტრონული პეტიციების წარსადგენად ელექტრონული პორტალის (ichange.gov.ge) შექმნისა და ამ პორტალით სარგებლობის წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ.* Retrieved 2018 წლის 12 06 from https://matsne.gov.ge/ka/document/view/3672138

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). *სტატისტიკა.* Retrieved 2018 წლის 07 06 from http://www.geostat.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). *ზოგადი ინფორმაცია.* Retrieved 2018 წლის 07 06 from http://www.geostat.ge/

ტყეშელაშვილი, შ. (2018 წლის 10 07). *WHO-მ შეცდომა აღიარა - საქართველო ჰაერის დაბინძურებით არა პირველ, არამედ 70-ე ადგილზეა.* Retrieved 2018 წლის 11 07 from http://www.tabula.ge/ge/story/134597-who-m-shecdoma-aghiara-saqartvelo-haeris-dabindzurebit-ara-pirvel-aramed-70-e-adgilzea

ურუშაძე, ი. (2015). *მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში.* თბილისი: დემოკრატიული მმართველობა საქართველოში.

ხავთასი, გ. (2018 წლის 01 06). *კულტურა კვებავს ცხოველებს.* Retrieved 2018 წლის 11 06 from https://idea.tbilisi.gov.ge/idea-details/102

რესპონდენტები

აბულაშვილი, გ. (2018 წლის 11 07). ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს დირექტორი (ე. ჩიტიშვილი, Interviewer)

გიგაშვილი, გ. (2018 წლის 03 07). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი (ე. ჩიტიშვილი, Interviewer)

ვარდოსანიძე, ვ. (2018 წლის 04 07). ურბანისტი და არქიტექტორი (ე. ჩიტიშვილი, Interviewer)

სალუქვაძე, მ. (2018 წლის 06 07). ურბანისტი და არქიტექტორი (ე. ჩიტიშვილი, Interviewer)

ხუციშვილი, ლ. (2017 წლის 18 12). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი (ე. ჩიტიშვილი, Interviewer)

დანართები:

დანართი N1.



დანართი N2.



დანართი N3.



დანართი N4.



დანართი N5.


უარყოფის მიზეზები
22.4%
3.4%
16.3%
1.4%
56.5%
დუბლირებული პეტიცია
ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას
ჩამოუყალიბებელი ან სახუმარო პეტიცია
შეიცავს უცენზურო ლექსიკას, გამოთქმებს, ვიზუალს.
ითვალისწინებს მხოლოდ ერთი ადამიანის პირად ინტერესს
სცდება საქართველოს მთავრობის კომპეტენციას
Highcharts.com

ინტერვიუს გზამკვლევი

კითხვარი N1

1. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეებისათვის თანამონაწილეობის შესაძლებლობების არსებობა?
2. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქალაქში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების არსებობა?
3. თბილისში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები რამდენად იძლევა მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობას?
4. ამსტერდამში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები რამდენად იძლევა მოქალაქეთა თანამონაწილეობის შესაძლებლობას?
5. რამდენად ახდენს ჩართულობა მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას თითოეულ ქვეყანაში?
6. რა სახის მსგავსებები და განსხვავებები არსებობს ამსტერდამსა და თბილისს შორის?
7. თავად თუ გაქვთ თანამონაწილეობის გამოცდილება გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გამოყენებით?
   - რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა, კერძოდ რამდენად მოახდინა თქვენმა ჩართულობამ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა?
8. როგორ შეაფასებდით თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების აქტიურობას?
9. რამეს ხომ არ დაამატებდით?

კითხვარი N2

1. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია მოქალქეებისათვის თანამონაწილეობის შესაძლებლობების არსებობა?
2. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქალაქში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების არსებობა?
3. რამდენად არსებობს თბილისში გონიერი ქალაქის ინსტრუმენტები?

4. რამდენად იძლევა აღნიშნული ინსტრუმენტები მოქალაქეებისთვის ჩართულობის შესაძლებლობას?
5. რამდენად ახდენს ჩართულობა მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას?
6. როგორ შეაფასებდით თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების აქტიურობას(რამდენად ხშირად თანამონაწილეობენ გონიერი ქალაქის ინსტრუმენტების გამოყენებით)?
7. რა ურბანული გამოწვევების წინაშე დგას დღეს თბილისი?
    - როგორია საზოგადეობის ჩართულობა მიმდინარე პროცესებში?
8. რამეს ხომ არ დაამატებდით?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Elene Chitishvili

The impact of smart city instrument on citizen's participation - Comparative analysis of Tbilisi and Amsterdam.

Political Science

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course supervisor: Associate Professor: Nani Macharashvili

Tbilisi 2018